საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. | № 242 (521) | ხუთშაბათი, 26 ნოემბერი, 1992 წელი | ფასი 2 მანეთი

წუხელ შეიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

24 ნოემბერს, საღამოს, თბილისიდან სოხუმში ჩამოვიდა საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი კამკამიძე. იგი შეხვდა აფხაზეთში განლაგებული სამხედრო შენაერთების ოფიცრებსა და ჯარისკაცებს. ახლა იგი ადგილზე ეცნობა სიტუაციას.

• • •

სოხუმში ჩამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ნოდარ გუჯაბიძე, რომელიც აწარმოებს ოჩამჩირის რაიონში განლაგებულ საქართველოს შეიარაღებული ძალების ინსპექტირებას.

• • •

24 ნოემბერს დილით, აფხაზმა ექსტრემისტებმა სოფელ ზემო ეშერაში გამოიყვანეს რამდენიმე ათეული ადამიანი, რომლებსაც ათხრევინებდნენ მიწას.

15 საათსა და 30 წუთზე მდინარის გამოღმა მხარეს განლაგებულმა ჩვენმა მებრძოლებმა გაიგონეს სროლის ხმა და სასოწარკვეთილ ადამიანთა ხვეწნა-მუდარა. გარკვევით ჩანდა, რომ ბანდიტები ადგილზევე უსწორდებოდნენ მშვიდობიან ადამიანებს. მათ დახვრიტეს რამდენიმე მათგანი. ქართველმა მებრძოლებმა ცეცხლი გაუხსნეს მკვლელთა რაზმს, რითაც აიძულეს ისინი შეეწყვიტათ სისხლიანი ანგარიშსწორება.

• • •

ხვალინდელ დღეზე, თავისი ქალაქის შემდგომ ბედზე ფიქრებით ცხოვრობს ახლა სოხუმის მოსახლეობა და მღელვარებით მოელის 29 ნოემბერს, საბრძოლო მოქმედების გუმისთის ხაზის, აფხაზეთის დედაქალაქისათვის ცეცხლის დაშენის, აგრეთვე ექვსკილომეტრიან საფრონტო ზონაში სამხედრო ფორმირებათა გადაადგილების შეწყვეტის შესახებ 10-დღიანი სამმხრივი ხელშეკრულების დამთავრების ვადას.

იოსებ გოგეჩია.

●

შეხვედრები მოსკოვში

28 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენლობაში, რუსეთის ფედერაციაში იაპონიის საელჩოს ინიციატივით გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლის პეტრე ჩხეიძის შეხვედრა ეკონომიკურ დესპანთან ბატონ კუსომოტოსთან. შეხვედრაზე ბატონმა კუსომოტომ განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობა აპირებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებსა და საქართველოს გაუწიოს ჰუმანიტარული დახმარება, რომლის საერთო თანხა 100 მილიონი ამერიკული დოლარი იქნება.

• • •

24 ნოემბერს პეტრე ჩხეიძემ მიიღო მექსიკის საელჩოს სამხედრო-საზღვაო ატაშე რუსეთის ფედერაციაში ადმირალი ვიქტორიანო როდრიგეს ავილა, რომელიც საქართველოს რესპუბლიკაშიც არის აკრედიტებული.

მეგობრული საუბრის დროს ბატონმა ადმირალმა გამოთქვა იმედი, რომ დამყარდება გულთბილი, მეგობრული ურთიერთობა და განაცხადა, რომ მზად არის კონსულტაციებისათვის ყველა იმ საკითხის შესახებ, რომლებიც წამოიჭრება საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების ორგანიზებისას. ბატონი ადმირალი აპირებს საქართველოს ეწვიოს 1993 წლის იანვარში.

საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის პრესცენტრი.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

შოთა ნიშნიანიძე

ჯარისკაცები და წეროები

ცამ დაიხურა წეროების სამკუთხა ქუდი...
თბილ ქვეყნებისკენ გამგზავრების დამდგარა წუთი...

გადაიფრენენ ზღვისპირეთს და კავკასიის ქედს,
წეროებს საფრთხე-ფათერაკი ელის მრავალი.
იქ — აფხაზეთში — დიდგორისკენ, ბასიანისკენ
ჩქარობს 300 არაგველის შთამომავალი.

გხედავთ, ბიჭებო, ეკრანებზე გხედავთ უშიშრებს,
ჩეჩენს კი არა, შეებმებით ზღაპრულ ჟოლიათს.
და როცა გხედავთ, როცა გხედავთ ნახევრად შიშვლებს,
ატამან მახნოს ბანაკში ვარ, ასე მგონია.

ამბობენ თითქოს სანგრის გაჭრას თვლით ლაჩრის
ხვედრად,
თითქოს სანგარში და საფარში ჯდომას თაკილობთ.
ჩემო ლომებო, დისციპლინა ომის ღმერთია
და ნუ გახდებით უცაბედი ტყვიის საკბილო.

აი, რას ბრძანებს ძველი დროის მხედართმთავარი
და რა შიში და საფიქრალი მსუსხავს ჭინჭრებად;
სადაც სანგრები არ იჭრება, ანუ საფარი,
ჯარისკაცებო, საფლავები იქ გაიჭრება.

ზღვა დაემგვანა ღილებაჭრილ გიგანტურ მუნდირს
და ხომალდები მაგონებენ აყრილ სამხრეებს.

ვინ არის ამ ზღვის, ამ სამოთხის მეკობრეც, ქურდიც
თქვენ კარგად იცით და ამიტომ არ გისახელებთ.

შეხეთ წეროებს... ჰორიზონტებს როგორ იპყრობენ,
მზეს უყივიან, გამარჯვებას წინასწარ გრძნობენ;
ერთი სწრაფვით და
წინამძღოლით,
მკაცრი სიმწყობრით
გამძვინვარებულ ბუნებასთან იგებენ ომებს.

მწკრივი და მწკრივი წეროების ცას ისე შვენის,
როგორც ღილები ლაჟვარდისფერ სამეფო მუნდირს,
ამ წეროების სამკუთხედმა მე შემახსენა
ნაპოლეონის არმია და სამკუთხა ქუდი.

ღმერთო მაღალო, მოწყალებას თუ კიდევ იჩენ,
შეგთხოვ და გვედრი: სასოებას ნუ გაგვინელებ,
შიეც წეროთა დისციპლინა ამ მამაც ბიჭებს,
ხოლო ბიჭების სიმამაცე — ამ სუსტ ფრინველებს.

აჰა, გახედეთ, წეროებმა მზე დააბრმავეს
და ცისკიდურთან შეისვენეს სულ ერთი წუთით,
მე მომეჩვენა:
აფხაზურ და ქართულ საფლავებს
ცამ მოუხადა წეროების სამკუთხა ქუდი...

25/XI 92 წ.

მთავარი კრიტერიუმი პროფესიონალიზმია

საქართველოს პარლამენტის სხდომის დღიური

25 ნოემბერს საქართველოს პარლამენტარებმა განაგრძეს მინისტრთა კაბინეტის წევრების დამტკიცება. სხდომის დასაწყისში სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ, კერძოდ, აღნიშნა, რომ გუშინ მიღებულ გადაწყვეტილებებს ჩვენს საზოგადოებრიობაში კარგი რეაქცია მოჰყვა. ასევე ნაყოფიერად უნდა ვიმუშაოთ ახლაც, ვეძებოთ ჩვენი ერისათვის მისაღები სწორი გადაწყვეტილებები.

პარლამენტარებმა განათლების მინისტრის პოსტზე დაამტკიცეს კონსტანტინე გაბაშვილი; კულტურის მინისტრად — დავით მაღრაძე; ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად — ირაკლი მენაღარიშვილი; მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრად — ლევან ჯაფარიძე; სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ — კახი ასათიანი; ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარედ — სანდრო კავსაძე.

იუსტიციის მინისტრის პოსტზე ბატონ ჯონი ხეცურიანის კანდიდატურის განხილვას მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე წინა ექვსი კანდიდატურის დამტკიცებას. მისდამი დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო და ზოგიერთმა პარლამენტარმა განხილვის დროს მას სერიოზული პრეტენზიები წაუყენა. კენჭისყრის შედეგად მისი კანდიდატურა არ დამტკიცებულა.

შესვენების შემდეგ საღამოს სხდომაზე პარლამენტარებმა გააგრძელეს სახელმწიფოს მეთაურის მიერ შემოთავაზებული პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებული რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელების კანდიდატურების განხილვა. პარლამენტმა საგარეო საქმეთა მინისტრად დაამტკიცა ალექსანდრე ჩიქვაიძე; საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსად — ირაკლი ბათიაშვილი; გენერალურ პროკურორად — თევდორე ნინიძე; შინაგან საქმეთა მინისტრად — თემურ ხაჩიშვილი.

შემდეგ პარლამენტარები შეუდგნენ სხვადასხვა საკითხების განხილვას.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

სოხუმის ახალი სამხედრო კომენდანტი

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, სოხუმის სამხედრო კომენდანტად დანიშნულია პოლკოვნიკი კორნელი ჩალაძე. იმავე დღეს ახალმა სამხედრო კომენდანტმა აფხაზეთის მთავრობას წარუდგინა ფრონტისპირა ქალაქში მოქალაქეთა ქცევის განსაკუთრებული რეჟიმის დამრღვევებთან და მაროდიორებთან ბრძოლის გაძლიერების კონკრეტული გეგმა.

ღვთის რწმენის მადლით

ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის პატრიარქი წმინდა მამა დანიელი ამ მღელვარე დღეებში იყო აფხაზეთში საბრძოლო მოქმედების ხაზების ყველაზე ცხელ წერტილებში, სანგრებსა და ბლინდაჟებში, დალოცა ქართველი გვარდიელები, სამშობლოს რომ იცავენ. 24 ნოემბერს წმინდა მამამ ლოცვა აღავლინა სოხუმის საკათედრო ეკლესიაში, მივიდა აფხაზეთში დისლოცირებული საქართველოს ჯარების მთავარ შტაბში, აკურთხა ოფიცრები და საბრძოლო მეთაურები, მოუწოდა მათ გული გაიმაგრონ და ღვთის რწმენის მადლით აღივსონ, აკურთხა შტაბის კედლები.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

რომან გოცირიძის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს რომან გოცირიძე საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 24 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ავთანდილ მარგიანის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ავთანდილ მარგიანი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 24 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ზურაბ კერვალიშვილის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ზურაბ კერვალიშვილი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 24 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ირაკლი მენაღარიშვილის საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ირაკლი მენაღარიშვილი საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

კონსტანტინე გაბაშვილის საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს კონსტანტინე გაბაშვილი საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

კახი ასათიანის საქართველოს რესპუბლიკის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს კახი ასათიანი საქართველოს რესპუბლიკის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 25 ნოემბერი.

ინტერვიუს ნაცვლად

...ძნელბედობის ჟამს სამშობლოს დასახმარებლად

ამ დღეებში პარლამენტის თავმჯდომარის — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებით, მისი შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი მიხეილის ძე კამკამიძე დაინიშნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ.

გენერალ ანატოლი კამკამიძის პიროვნებამ, რომელიც ცოტა ხნის წინათ იმიერკარპატეთის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილე იყო, დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოში. დღეს დიდ იმედებს ამყარებენ იმაზე, რომ იგი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეროვნული არმიის შემდგომ მშენებლობასა და განმტკიცებაში. ერთ-ერთი თვალსაჩინო თანამედროვე ქართველი მხედართმთავარი ანატოლი კამკამიძე უყოყმანოდ დაეთანხმა ედუარდ შევარდნაძისა და თავდაცვის მინისტრის თენგიზ კიტოვანის წინადადებას, ერთ-ერთი ხელმძღვანელი თანამდებობა დაეკავებინა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

გენერალმა ა. მ. კამკამიძემ ტაქტიანი უარი განაცხადა ინტერვიუზე, ჯერ რაღაც უნდა გავაკეთო საქართველოსთვისო, და მხოლოდ აღნიშნა, ბედნიერი ვარ, რომ კვლავ საქართველოში ვიმყოფები, ბედნიერი ვარ სამშობლოს სამსახური გავუწიო მისთვის ამ მძიმე ჟამსო.

— ძალ-ღონესა და ენერგიას არ დავიშურებ, — თქვა გენერალმა, — რათა საქართველოს ჰყავდეს თანამედროვე არმია, რომელსაც შეეძლება საიმედოდ დაიცვას თავისი მოსახლეობა. საამისოდ მას ყველა საშუალება აქვს.

ანატოლი კამკამიძე დაიბადა 1935 წელს კადრის ოფიცრის მიხეილ ერმალოზის ძე კამკამიძის ოჯახში, რომელიც ხარაგოულის რაიონის სოფელ გარეხევის მკვიდრი იყო. უნდა ითქვას, რომ იმერეთის ეს პატარა რაიონი ცნობილი იყო თავისი გამოჩენილი მხედართმთავრებით, როგორიც იყვნენ გენერალ-მაიორები მიხეილ გერონტის ძე კიკნაძე, ოთარ ივანეს ძე კიკნაძე, გივი პავლეს ძე ორჯონიკიძე.

— ანატოლის ბავშვობამ ომისწინა და ომის პერიოდში გაიარა. ლანდად ახსოვს მამა. მის მეხსიერებას შემორჩა მამის ახოვანი ფიგურა, საღილეები, და გვერდით ჩამოკიდებული პისტოლეტიანი ბუდე. ეს იყო დიდი სამამულო ომის პირველ დღეებში. ანატოლის მამა აღარასოდეს უნახავს.

ქართველი კადრის ოფიცერი მიხეილ კამკამიძე ერთი იმათგანი იყო, ვინც პირველმა გამოსცადა ფაშისტური გერმანიის ჯოჯოხეთური ძალის მთელი სიმძიმე. ჯერ კიდევ ახალგაზრდა მამაცთა სიკვდილით დაეცა 1942 წელს სტალინგრადის გააფთრებულ ბრძოლებში.

ჯერ კიდევ სკოლის წლებში ანატოლი კამკამიძემ მტკიცედ გადაწყვიტა მამის კვალს გაჰყოლოდა, სამხედრო გამხდარიყო. 1954 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, იგი შევიდა ოდესის კ. ე. ვოროშილოვის სახელობის სამხედრო სასწავლებელში. სამი წლის შემდეგ, როცა ოფიცრის პირველი წოდება მიიღო, ანატოლი კამკამიძე, როგორც სწავლის წარჩინებული, საბჭოთა ჯარების ჯგუფში შემდგომი სამსახურის გასავლელად გერმანიაში გაგზავნეს ოცეულის მეთაურის თანამდებობაზე.

სამხედრო სამსახურის დაწყებიდანვე ქართველმა ოფიცერმა ყურადღება მიიპყრო. იგი, ჩინებული სპორტსმენი, არმიის ფეხბურთის გუნდის სული და გული გახლდათ. უაღრესად მოწესრიგებული, საკუთარი თავისა და ხელქვეითებისადმი მომთხოვნი, ნიადაგ ხვეწდა მეთაურის ოსტატობას.

რამდენიმე ხნის შემდეგ სათავეში ჩაუდგა მოტომსროლელთა ასეულს, მოგვიანებით გადაიყვანეს კიევის სამხედრო ოლქში, სადაც იმსახურა 1967 წლამდე. ჭკვიანი, საზრიანი, ერუდირებული, სულიერად და ფიზიკურად ნაწრთობი კამკამიძე მალე გახდა ოლქის ერთ-ერთი საუკეთესო მეთაური, და იგი სარდლობის რეკომენდაციით შევიდა მ. ვ. ფრუნზეს სახელობის აკადემიაში.

1970 წელს მაიორის წოდებით ანატოლი კამკამიძე იკავებს მოტომსროლელთა პოლკის მეთაურის მოადგილის თანამდებობას, ორი წლის შემდეგ კი ინიშნება იმავე პოლკის მეთაურად.

პოლკის მეთაურის თანამდებობაზე მუშაობა ა. მ. კამკამიძემ უკვე მომწიფებულმა და გამოცდილმა ოფიცერმა დაიწყო. საბრძოლო წვრთნის ხელმძღვანელებს არაერთხელ აღუნიშნავთ მეთაურის ჩანაფიქრის გამბედაობა, ქვეგანაყოფების მაღალი სამხედრო წრთობა, ქართველი ოფიცრის მოქნილი მართვა. პოლკის მეთაურის სამსახური დაძაბულია. ჩვეულებრივი გეგმით გათვალისწინებული წვრთნის გარდა პირად შემადგენლობას ხშირად უხდებოდა მონაწილეობა საჩვენებელ მეცადინეობასა და წვრთნაში. ეს კი საჭიროებდა დამატებით ვარჯიშს, პოლკის მთელი პირადი შემადგენლობის მაღალ დისციპლინასა და უკუგებას.

ჯერ კიდევ ოფიცრად სამსახურის გარიჟრაჟზე ა. მ. კამკამიძემ გამოიმუშავა მუშაობის თავისეული სტილი. ქართველი ოფიცრის სიტყვა და საქმე ყოველთვის ერთი იყო. იგი შრომისმოყვარე, თავმდაბალი ადამიანი გახლდათ და ჩინებულად ფლობდა მეთაურის ხელოვნებას. როგორც მისი თანაპოლკელები აღნიშნავენ, ა. მ. კამკამიძის საიმედოობის დონე ასპროცენტიანია, ეს კი უპირველეს ყოვლისა ფასდება სამხედროებში.

1973 წელს ჩვენი თანამემამულე დაინიშნა დივიზიის მეთაურის მოადგილის თანამდებობაზე, ერთი წლის შემდეგ კი მოტომსროლელთა დივიზიის მეთაურად და ვადამდე მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. მაშინ იგი 38 წლისა იყო. დივიზიის მეთაურის პოსტზე კიდევ უფრო მკაფიოდ გამოვლინდა მისი ნიჭი. მეთაურის სამხედრო უნარი, ტალანტი და ორგანიზატორული ნიჭი კარგად იყო ცნობილი ოლქში. პოლკოვნიკი ა. მ. კამკამიძე საქმის ცოდნით ასწავლიდა შენაერთის მეთაურთა კადრებს, ოპერატიულად გადაეწყვიტათ საბრძოლო ამოცანები, დაემარცხებინათ ძლიერი, ტექნიკურად აღჭურვილი მოწინააღმდეგე. იგი თავის ხელქვეითებს უნერგავდა ადამიანებთან მუშაობის უნარს, ასწავლიდა მათ, პატივი ეცათ ხელქვეითის შრომისათვის, დაუფლებოდნენ სამხედრო პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საფუძვლებს, უმუშავებდა სამხედრო კოლექტივების შეკავშირების ჩვევებს, განამტკიცებდა მკაცრ საწესდებო წესრიგს.

1976 წლის ოქტომბერში ჩვენს თანამემამულეს მიანიჭეს გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება. შემდეგ იგი მუშაობდა პასუხსაგებ თანამდებობებზე, და როგორც ყოველთვის, სანიმუშოდ ასრულებდა სარდლობის ყველა დავალებას. 1981 წლის მაისში გენერალ-მაიორი ა. მ. კამკამიძე გადაიყვანეს იმიერკარპატეთის სამხედრო ოლქში, სადაც მან დაახლოებით ათ წელს იმსახურა. 1984 წელს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება.

გენერალი ა. მ. კამკამიძე დაჯილდოებულია ოცი ორდენითა და მედლით, არის სპორტის ოსტატი ფეხბურთში და სამხედრო სამჭიდში

მთელი ამ წლების განმავლობაში ანატოლი კამკამიძეს დიდი მეგობრობა აკავშირებდა გენერალ-ლეიტენანტებთან მიხეილ ელბაქიძესთან და რობერტ თავაძესთან, გენერალ-მაიორ ლერი აბაშიძესთან, ვისთანაც ჯერ კიდევ იმიერბაიკალში მსახურობდა.

გენერალ ანატოლი კამკამიძეს ორი ვაჟი ჰყავს, ორივე სამხედრო სპეციალისტია.

ისღა დაგვრჩენია, ვუსურვოთ ჩვენს შესანიშნავ თანამემამულეს წარმატებები ყველაზე კეთილშობილურ და ძნელ ასპარეზზე, რასაც სამშობლოს დაცვა ჰქვია.

ლევან დოლიძე.

ნომერში

⊙ რატომ შეტორტმანდნენ ატლანტები. 2
⊙ გამოითხოვს თუ არა პატიმარს პარლამენტი? 3

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ალექსანდრე კავსაძის საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ალექსანდრე კავსაძე საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ლევან ჯაფარიძის საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ლევან ჯაფარიძე საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

დავით მაღრაძის საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს დავით მაღრაძე საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ვალერიან ვაშაკიძის საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს ვალერიან ვაშაკიძე საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 24 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

კახი პოპიაშვილის საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს კახი პოპიაშვილი საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 24 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

შოთა ადამიას საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს შოთა ადამია საქართველოს რესპუბლიკის გარემოს დაცვის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 24 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

გიორგი კვესიტაძის საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს გიორგი კვესიტაძე საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 24 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

დავით გიგაურის საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს დავით გიგაური საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 24 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

მიხეილ გურგენიძის საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს მიხეილ გურგენიძე საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 24 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

რევაზ შავიშვილის საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დაინიშნოს რევაზ შავიშვილი საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 24 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
დემურ დვალიშვილის საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

დაინიშნოს **დემურ დვალიშვილი** საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 24 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
ირაკლი ქადაგიშვილის საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

დამტკიცდეს **ირაკლი ქადაგიშვილი** საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 24 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
ავთანდილ სილაგაძის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

დამტკიცდეს **ავთანდილ სილაგაძე** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 24 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
გურამ მირიანაშვილის საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

დამტკიცდეს **გურამ მირიანაშვილი** საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 24 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
მიხეილ ჯიბუტის საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

დამტკიცდეს **მიხეილ ჯიბუტი** საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 24 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
რევაზ არველაძის საქართველოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

დამტკიცდეს **რევაზ არველაძე** საქართველოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 24 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
თენგიზ გელეიშვილის საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

დამტკიცდეს **თენგიზ გელეიშვილი** საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 24 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
ფრიდონ ინჯიას საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

დამტკიცდეს **ფრიდონ ინჯია** საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 24 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
ალექსანდრე ჩიკვაიძის საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

დამტკიცდეს **ალექსანდრე ჩიკვაიძე** საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
ირაკლი ბათიაშვილის საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსად დანიშვნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

დაინიშნოს **ირაკლი ბათიაშვილი** საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
თევდორე ნინიძის საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად დანიშვნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

დაინიშნოს **თევდორე ნინიძე** საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
თეიმურაზ ხაჩიშვილის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

დამტკიცდეს **თეიმურაზ ხაჩიშვილი** საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვ. გოგუაძე.**

თბილისი. 1992 წლის 25 ნოემბერი.

ვ. შეტორტმანებული ატლანტები

„მხოლოდ მაშინ გამოიყვანეს ბანაკიდან გერმანელებმა თავიანთი ძალები... მთელ თავიანთ ჯარს გარშემოარტყეს საზიდრები და ოთხთვალები, რათა არავის არავითარი იმედი არ დარჩენოდა გაქცევის. ზედ დასვეს ქალები, რომლებიც ხელაპყრობილნი მიაცილებდნენ ომში მიმავალთ და თვალცრემლიანნი ემუდარებოდნენ ტყვედ არ ჩაეგდოთ ისინი რომაელთათვის".

ეს პასაჟი იულიუს კეისრის მემუარებიდან, რა ვქნა, ხშირად მახსენდება თბილისში პატრიოტულ შეკრებათა მოსმენისას. საზიდრებზე მსხდომი ქალების ანალოგიური პოზიცია ხომ არ გვიკავია ზოგჯერ, ხელაპყრობილი გამცილებლების: გვიშველეთ, გადაგვარჩინეთ!.. თქვენ იქ იბრძოლეთ, ჩვენ აქ ფილტვებს დავბერავთ.

ანალოგია სუბიექტურია და საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებაზე მეტი სხვა პრეტენზია არა აქვს.

იყო თუ არა ღალატი?

— იყო თუ არა ღალატი? — **განაგრძობს საუბარს გაგრაში დაჭრილი ოფიცერი ლევან ჯობაძე,** — ასე ხელს ვერავის დაადებ. ბინძური თამაში რომ იყო, აშკარაა. დაახლოებით ისე, ჩხუბში შენი მომხრე შენვე რომ დაგიჭერს ხელებს, ვითომ გაშველებს და მოწინააღმდეგე კი თავისუფლად გირტყამს ამ დროს.

იარაღს და ტყვია-წამალს რომ არ მოგვცემენ, ხელის გაკავებაზე მეტი არ არის?

ჩვენმა ბატარეამ ომი ისე დაამთავრა, რომ ერთადერთი ნაღმსატყორცნით ვიბრძოდით. ეგიც იყო ჩვენი ყველაზე დიდი იმედი. ჰოდა, როდესაც ჩემს იარაღს ცეცხლი დაუშინეს, არც დავფიქრებულვარ, ისე შევვარდი გამოსატანად. ნახევარი საათის წინ, იქ, იმ ადგილზე ჩვენი შტაბში უფროსი დაიჭრა. წესით, არ უნდა შევსულიყავი, მაგრამ აუცილებელი იყო. შევედი, დავიჭირე, მაგრამ ეს კი არაა მთავარი, არამედ ის, იარაღის გადასარჩენად რომ შევედი, მეტი არ გვქონდა და იმიტომ.

მერე აღმოჩნდა, რომ, თურმე, ტანკებიც გვყოლია და შტაბთან დაუყენებიათ მარინაშვილს, ტყვია-წამალიც ყოფილა და ნაღმებიც. მე კი 10 ნაღმს მაძლევდნენ მხოლოდ. რას ნიშნავს ეს? ორი გასროლა — დასამიზნებელი, პრაქტიკულად — ფუჭი, მესამე — მიზანში, შედეგიანი.

ესე იგი, მთელი ღამის მანძილზე (ნაღმსატყორცნს უმეტესად ღამე „ვამუშავებდით", რადგან ამ დროს, უკეთ ჩანს, თუ საიდან და რა ძალით ისვრის მოწინააღმდეგე) სამჯერ ვახვედრებდი მიზანში. ნორმალურად რომ გვემუშავა, 200 ნაღმი გვჭირდებოდა და მაშინ, დამერწმუნეთ, ვერც შემობედავდნენ გაგრაში აფხაზები და ჩეჩნები.

გუმისთაზე რომ ვიყავით, პირველივე ღამეს ისეთი „კონცერტი" მოვუწყვეთ და მერეც, რომ თუ სადმე თავს წამოყოფდნენ, დავადუღებდით იქაუროებას. წელგამართული დავდიოდით წინა ხაზზე, — ვერ ბედავდნენ სროლას, იცოდნენ, რომ ამოვხოცავდით.

მაგრამ გაგრაში ასე აღარ იყო.

მერე. არავითარი ხელსაწყო, რაც ბატარეის ჯგუფიულს უნდა ჰქონდეს, არ გაგვაჩნდა. ეს უკვე ვთქვი. ამ დროს ძალიან ძნელია და დიდი დრო სჭირდება ნაღმსატყორცნის ცეცხლის კორექტირებას კუსტარული მეთოდით, თვალის ზომით. წესით, ასეთი რამ საერთოდ არ უნდა ხდებოდეს. გადამართავდით ნაღმსატყორცნს და გვიბრძანებდნენ პოზიციის გამოცვლას. ეწყებოდა ყველაფერი თავიდან და იკარგებოდა დრო, რომელიც, ყველამ იცის, წინა ხაზზე ადამიანის სიცოცხლედ ფასობს. უმეტეს შემთხვევაში, პოზიციის შეცვლა სრულიადაც არ იყო აუცილებელი, სავსებით საკმარისი იქნებოდა სროლის მიმართულების შეცვლა, მეტი არაფერი.

განგებ კეთდებოდა ასე? უვიცობით?

ან, როდესაც ყველა, თუ ჩინით უფროსია, იცის თუ არ იცის, შენს საქმეში რომ ერევა, ამას რაღა დავარქვათ? სამხედროებზე ვარსკვლავების რაოდენობა სამხედრო საქმის ცოდნას რომ არ ნიშნავს, და ამას ჯარისკაციც რომ ხედავს, და ამჩნევს, გაუჭირდება ბრძოლა ასეთ არმიას. ერთხელ საკმაოდ პატარა თანამდებობის მეთაურმა (სხვათა შორის, ძალიან გაბედულმა და მამაცმა) ნაღმსატყორცნის ფლობა დაიბრალა, არასაკმარისი მოიჩვენა მუხტების რაოდენობა და იმდენი ჩაუდო ნაღმს, რომ გასროლას, ლულაც თან გაჰყვა. კიდევ კარგი, რომ იქვე არ აფეთქდა, თორემ, 200 მეტრის რადიუსში ყველა დაიხოცებოდა. ოცი წამის შემდეგ ლულა იმავე ადგილზე დაეცა (ისევ — კიდევ კარგი, რომ ნაღმი მაინც გამოუვიდა, თორემ არაფერი გადაარჩენდათ), ნაღმსატყორცნი კი დავკარგეთ.

ხელების გაკავებაზე უარესი არ არის ასეთი რამე?

გაკვრით ვახსენე ახალწვეულების პრობლემა. დავაზუსტებ — მარტო მოუმზადებლობა არ არის მთავარი. ადამიანის ბუნებაც ბევრ რამეს ნიშნავს. ზოგიერთმა ავტომატის გასროლის ხმა რომ გაიგონა, ცუდად გახდა. ოთხი ბიჭი გვყავდა ერთი კუთხიდან. პანიკური შიში ეუფლებოდათ ღამ-ღამობით, ერთ ღამეს მანდარინის ბუჩქები მაკრეჭინეს — ხან ცხენიანი კაცი ელანდებოდათ, ხან დანით ჩვენსკენ მომავალი მედესანტე. ვისროდი ამ ბუჩქებს, ვჭრიდი ტოტებს და ასე ვამშვიდებდი. მერე ახალი მოლანდებები იწყებოდათ.

საქმეა ეს?

ასეთები გუმისთიდან გაგრაში აღარ წავიყვანეთ. ვის უნდა „გამოეხშირა" ასეთი ხალხი? არ ვიცი, მაგრამ ომს ასეთი მებრძოლებით ვერ მოიგებ.

მადლობა ღმერთს, სხვებიც იყვნენ. მამაცებს არ თამაშობდნენ, მაგრამ დასაოცარ გულადობას იჩენდნენ.

40 წლის მიტანებული ერთი კარგი კაცი გვყავდა, გახო კოპალეიშვილი, ფიდელას ვეძახდით, ცოლს დაუბარებია მისთვის, თუ ცოცხალი არ ჩამოხვალ, არ დამენახოო.

ერთხელ, დავალებიდან რომ ბრუნდებოდა, მტერმა შეამჩნია და ცეცხლი დაუშინა. მორბის ფიდელა, რასაკვირველია, ეშინია (თვითონ მოგვიყვა მერე), ღმერთს ევედრება — მიშველეო. ესვრიან. მორბის და არ წყდება ცეცხლი.

გაბრაზდა ფიდელა. გაჩერდა. შებრუნდა იმათი პოზიციისაკენ და იყვირა — მესროლეთ!!! არ დაუტოვა მკვდარი და ცოცხალი. არ ისროლეს... თქვენი ნებაა, ჩაილაპარაკა და დამშვიდებული მოგვიბრძანდა საფარში. ასეც ხდებოდა...:

არმია საზოგადოების ანარეკლია, ამიტომ, არავის უკვირდა, რომ იყვნენ ნარკომანებიც. ჩვენს ექიმებს წინა ხაზზე ნარკოტიკული გამაყუჩებლები არ ჰქონდათ, მაინც წაართმევდნენ ნარკომანები და ვერც ვერავინ დაუშლიდა.

ხომ ვამბობთ ახლა, რომ ნარკომანია დაავადებაა? მაშ, რა ესაქმება დაავადებულ ადამიანს არმიაში? ვის უნდა ეზრუნა ამ საკითხზე და არის თუ არა აქ გამოჩენილი უყურადღებობა ხელების გაკავებაზე უარესი?

ექიმები ვახსენე და ექიმები სხვა ხალხია. დღე და ღამე ჩვენთან იყვნენ სამედიცინო ინსტიტუტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები. აი, ბიჭები! ახლა, გაგრაში? ბრწყინვალე პროფესიონალები — ქართველები, რუსები, სომხები.

ბიჭები, ბიჭები...

გორელები იყვნენ, მგლები, ნაომრები სამაჩაბლოში, გამოცდილები. ნაწყენები წამოვიდნენ, სულში ჩაგვაფურთხეს და იმიტომ.

სასწაული ომი იყო. ალოგიკური. რისკის ფაქტორის გაუმართლებლად ხშირი გამოყენებით. კი არის ომი რისკი. მაგრამ რისკი ავანტიურაცაა, ან გამართლებს, ან არა, სათუოდ ბრძოლის წარმართვა, არა მგონია, სწორი იყოს.

თბილისში დაბრუნებული ვამბობ ამას, აქედან ასე ჩანს, თორემ, რისკი იქ ცხოვრების ნორმა იყო.

ვერტმფრენების პილოტები — აი, ვინ რისკავდა! დაჭრილები გაგრიდან რომ მოგვყავდით, არც დაფიქრებულან, ისე გადაუფრინეს გუდაუთას, მალე რომ ჩამოეღწიათ სოხუმში.

სამხედრო ვერტმფრენები ხომ ჩვენი სიამაყე იყო. უცებ შემოიჭრებოდნენ წინა ხაზზე, რაკეტებს დაუშენდნენ ჩეჩნების პოზიციას, ჩააჩუმებდნენ და მოულოდნელობასავით გაქრებოდნენ.

ხმაურით და უბედურებით დაედევნებოდნენ რუსეთის „მიგები", მაგრამ ჩვენების კვალიც კი გამქრალი იყო.

ჩამოგვიყვანეს-მეთქი სოხუმის აეროპორტში. თბილისის თვითმფრინავი აფრენილი დაგვხვდა. დააბრუნეს. მერე გავიგეთ — გადატვირთული იყო იმდენად, რომ ეკიპაჟს განუცხადებია, თუ ვერ ავფრინდით, ნახევარს უკანვე გადმოვსხამთო.

აი, ასე აფრენილი „იაკ-40" დასვეს. ჩვენ, ოთხი დაჭრილი, დაგვამატეს და აფრინდნენ. სასწაულია და, რასაკვირველია, რისკია.

ომი ჩემთვის დამთავრდა. ახლა ექიმები იმაზე ზრუნავენ, რომ ხელის მოძრაობა აღმიდგინონ. სამხედრო უწყების ჩინოვნიკები კი იმაზე, რომ ეკონომია გასწიონ ჩემზე და ჩემს მეგობრებზე. ხელფასის მისაღებად რომ მივედით, ვაჭრობა დაგვიწყეს, არც ჩვენ დავუთმეთ და ასე, ვითომც აუქციონზე ვიყავით, 300 მანეთიდან 7 ათას მანეთამდე ავედით.

სირცხვილია ამაზე ლაპარაკიც კი.

სამაგიეროდ, სხვა რამ მაქვს სათქმელიც და საამაყოც.

როდესაც დავიჭირე და დავეცი, სანამ ტყვიანი ხელს დამრევდა, მოვასწარი და დავუძახე ბიჭებს — არ შემოხვიდეთ-მეთქი. მართლა ცეცხლის წვიმა იყო. გამოვეხოხდი. სისხლში ამოსვრილი რომ დამინახეს, სახეები შეეცვალათ, — მამაკაცის ცრემლი გულში იღვრება და იქ დუღს. საკაცე სად იყო, „ადიალათი" მატარეს ერთი კილომეტრი, სანამ შემთხვევითი მანქანა არ გამოჩნდა. ვიტალი კინწურაშვილს, თეიმურ მახარობლიძეს, დათო ჯომარჯიძეს, ნუკრი ზურაბიშვილს უნდა ვუმადლოდე ჩემს გადარჩენას. სხვათა შორის, არცერთი მათგანი პროფესიონალი სამხედრო არ არის. პირველი ფიზიკოსია, მეორე — ეკონომისტი, მესამე — ინჟინერი, მეოთხე — მილიციის ყოფილი მუშაკი.

და, საერთოდ, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი ბატარეის მებრძოლებს — გოგი შაქარაშვილს, გივი ჩავლეიშვილს, ზალა გიოშვილს, ჩემს გორელ და ყვარლელ, სურამელ და ხაშურელ, კასპელ და დიღმელ, ლოტკინელ და გლდანელ, საბურთალოელ და ვაკელ ბიჭებს, ძმობის გაწევისათვის და თანამებრძოლობისათვის.

ბოლოს კი უნდა ვთხოვო თქვენს კოლეგებს, ჟურნალისტებს — ზუსტი ინფორმაცია მიაწოდონ მკითხველებს. თუ 102-ე ბატალიონზე დაწერენ, დააზუსტონ ვისზეა ლაპარაკი — გაგრის 102-ე ბატალიონზე, თუ შაუმიანის 102-ე ბატალიონზე, (ეს ჩვენი ბატალიონი იყო), რომელიც 29 სექტემბერს, გაგრის ტრაგედიამდე ორიოდე დღით ადრე, სხვა რამდენიმესთან ერთად მარინაშვილის ბრძანებით დაშალეს, იარაღი ჩამოართვეს და ბარჟით ფოთში გადაიყვანეს.

ძალზე სუბიექტური ეპილოგი

აფხაზეთის ომი, ჩანს, ჩიხში შევიდა — პერსპექტივა დაიკარგა, სტრატეგიული განვითარების პერსპექტივა. თითქოს გაწონასწორდა სიღრმისეული ძალები. მაგრამ ომი გრძელდება, ლოკალურ ბრძოლებს ადამიანების სიცოცხლე ეწირება.

ლოგიკურად — უნდა მინავლდეს ცეცხლი, მაგრამ ასე არ ხდება.

არ ხდება ასე იმიტომ, რომ აფხაზეთის კონფლიქტს არა აქვს ჩაქრობის შინაგანი რესურსები, ან არაა ამოქმედებული ეს რესურსები.

გარეშე ფაქტორები, რომლებიც დესტაბილიზაციის ძირითადი მკვებავია, დღევანდელ პირობებში, ჯერ არ მოხსნილა, მაგრამ აშკარად აქცენტებგადანაცვლებულია თავიანთივე შინაგანი სირთულეებისაკენ: რუსეთში — დეკემბრის ყრილობისაკენ, ჩრდილოეთ კავკასიაში — ოსეთ-ინგუშეთის და რუსეთ-ჩეჩნეთის დაპირისპირებისაკენ.

კარგად ორგანიზებულმა რეგიონულმა კონფლიქტებმა, ჩანს, შეასრულა დაკისრებული ტაქტიკური ამოცანა, მიაღწია სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ქაოსის საჭირო ნიშნულს. ყველაფერი, რისი დაშლაც შეიძლებოდა, დაშლილ-დაროღვეულია — ეკონომიკური კავშირებიდან მოყოლებული, ადამიანური ურთიერთობების ჩათვლით.

ახლა სხვა მასშტაბები ამოქმედდა.

ახლა იწყება გენერალური ბრძოლა.

ვინ — ვის? დღეს არა მარტო პასუხგაუცემელი კითხვაა, არამედ, ყოფნა-არყოფნის შიშიც.

რატომღაც, შეუმჩნევლად ჩაიარა პრეზიდენტ ელცინის ამასწინანდელმა განცხადებამ, რომ თუ ხალხმა მოითხოვა რეფორმების შეჩერება, იგი იძულებული გახდება, დაემორჩილოს ხალხის ნებას. არადა, ეს პრინციპულად ახალ პოზიციაზე გადასვლას ან დათმობას ნიშნავს, უნდა ნიშნავდეს. კომპრომისი? ორი დაპირისპირებული მხარის კომპრომისის ნიშანი მაინც? თუ სრულიად ახალი განზომილების დასაწყისი, რომელსაც დასავლეთელი ანალიტიკოსები რამდენიმე თვის წინ წინასწარმეტყველებდნენ: „ჩვენ ვდგავართ ახალი, ამოუცნობი, ისტორიული სინთეზის წინაშე პარიზში, მოსკოვსა თუ ბელგრადში" (ბერნარ-ანრი ლევი).

რა გაჩნდება ამ სინთეზის შედეგად?

აფხაზეთში კი გრძელდება ძალაგამოცლილი ომი.

დაღლილი ომი შეტორტმანებული ატლანტების — ჩვეულებრივი ჩვენი ბიჭების, რომლებსაც, როგორც ატლანტებს, ქვეყნის ბედის, სამშობლოს შენარჩუნების სიმძიმე მოულოდნელად დააწვათ მხრებზე.

და შეტორტმანდნენ ატლანტები.

ბედნიერებისგან და სიმძიმისგან... უფროსი თაობისთვის ჩამორთმეული რწმენის უჩვეულო სიმძიმისგან, ბედნიერებისგან — რომ მოვალეობის ეს ტვირთი ახლა მათ მხრებზე დევს.

მალე გაიმართებიან, კარგად მოირგებენ და მყარად დადგებიან ფეხზე ახალი ატლანტები.

...როდის იქნება მალე?

არმაზ ძალიძე.

დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა", №№ 284, 287.

გაუგებრობა რომ ავიცილოთ
საკონსულტაციო ჯგუფი უპასუხებს მკითხველთა შეკითხვებს

შეკითხვა: ლანჩხუთის რაიონის სოფელ ეწერის ადგილობრივი კომისია არ მიბრუნებს ჩემი მშობლების საკარმიდამო ნაკვეთს, რომელიც მათ ბაბუასაგან ანდერძით ჰქონდათ მიცემული. იმდენად გაწყვეტილს, რომ ასე მგონია, დადგენილება მიწის პრივატიზაციის შესახებ ლაყბობას უფრო ჰგავს (ზ. ანთაძე, ქ. ქობულეთი).

— საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოზე განხილულ ბატონ რ. გოცირიძის მოხსენებაში, რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" სრულად გამოქვეყნდა, ნათლად იყო აღნიშნული, თუ რა გაკეთდა საქართველოში მიწის პრივატიზაციისათვის. ასე რომ, რომელიმე ცალკეული მაგალითით სამვილიშვილო ღონისძიებების ლაყბობად მონათვლა, ცოტა არ იყოს, მკრეხელობად მივაჩნია. ეს შენიშვნა რედაქციაში გამოგზავნილი წერილების სხვა ავტორებსაც ეხებათ. იქნებ ჯობდეს, როგორც იტყვიან, შვიდჯერ გაზომვა და ერთხელ გაჭრა?!

მამაპაპეული ნაკვეთი, როგორც წერთ, ამჟამად თავისუფალია. კომისიას უფლება არ ჰქონდა გადაეცა იგი მიწის სარეზერვო ფონდისათვის და დადგენილი ნორმების ფარგლებში შეუფერხებლად არ გამოეყო თქვენთვის და თქვენი მამისათვის.

შეკითხვა: მაქვს თუ არა უფლება, დადგენილი ნორმის ფარგლებში მოვითხოვო მიწის ნაკვეთი, რომელიც ადრე ჩემი წინაპრების საკუთრება იყო. მით უმეტეს, ეს მიწა სხვა კანონიერი მიწათმოსარგებლის მიერ დაკავებული არ არის (ზ. შარიქაძე, ხარაგაულის რაიონი).

— ასეთ შემთხვევაში თქვენ სრული უფლება გაქვთ, დადგენილი ნორმის ფარგლებში მოითხოვოთ თქვენი კუთვნილი მიწა. რაც შეეხება თქვენს დამოკიდებულებას მიწის ყოფილი კერძო მესაკუთრისადმი, ამის შესახებ ჩვენ ადრე გვქონდა მსჯელობა და მას არ დავუბრუნდებით. და კიდევ ერთ რამეს გირჩევდით იმის თაობაზე, რაც ამ თქვენს წერილში ამოვიკითხეთ; როცა საქართველოს მთავრობას ეხებით, მეტი თავდაჭერილობა გმართებთ. ნუ მიიჩნევთ, რომ თქვენ ხართ ის პიროვნება, რომელსაც ისეთი რთული საკითხების გადაწყვეტაში, როგორიც მიწის რეფორმაა, ჭეშმარიტ ცოდნაზე პრეტენზიის უფლება გაქვთ.

დადგენილების ექო

შეკითხვა: მემკვიდრეებმა დადგენილების შესაბამისად გავინაწილეთ მამისეული მიწის ნაკვეთი, მაგრამ ნორმის ზევით განაწილებლად დარჩა 500 კვადრატული მეტრი. აქვს თუ არა უფლება ამ ოჯახის ერთ-ერთ მემკვიდრეს მოითხოვოს ეს ნაკვეთი, მით უფრო, რომ მასზე მიწის ნაკვეთი არ ირიცხება (თ. მელიტონაძე).

— ადგილობრივ კომისიას შეუძლია თქვენი თხოვნა დააკმაყოფილოს მით უფრო, რომ ეს ნაკვეთი იმაზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე დადგენილებით ამ კატეგორიის მოქალაქეებზე გასაცემადაა გათვალისწინებული.

შეკითხვა: მაქვს თუ არა უფლება, მოვითხოვო მამაპაპეული საკარმიდამო ნაკვეთიდან მიწის ფართობი? (ბ. ტაბატაძე, ხარაგაულის რაიონი, სოფელი ხევი).

— თუ მამაპაპეული ნაკვეთი თქვენი ოჯახის ისტორიულ საკუთრებაში ითვლებოდა და ამჟამად სხვა მიწათსარგებლის მიერ დაკავებული არ არის, თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ საკარმიდამო დადგენილი ნორმის ფარგლებში.

შეკითხვა: სოფლის კომისიამ უარი მითხრა ნაკვეთის მოცემაზე იმ საბაბით, რომ საკარმიდამო ნაკვეთი მამაშენს შევუსრულეთ და თქვენ როდისმე მისი კანონიერი მემკვიდრე გახდებითო (ბ. სულხანიშვილი, თბილისი).

— თუ კომისიას სხვა მიზეზი არ გააჩნია (გასანაწილებელი მიწების უქონლობა და სხვა), პასუხი არასწორია, ვინაიდან, როცა მიწის ყიდვა-გაყიდვა ნებადართული იქნება, არავინ იცის, ვის მფლობელობაში გადავა მამისეული ნაკვეთი.

შეკითხვა: ვარ სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი, ვმუშაობდი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, შემდგომ მასწავლებლად. ვიყავი და დავრჩი კოლმეურნეობის წევრად. კოლმეურნეობაში მუშაობის დაწყების დღიდან გაპიროვნებული მაქვს მიწის ნაკვეთი. გთხოვთ მიპასუხოთ, მიწების განაწილების რომელ კატეგორიას მეკუთვნები? (შ. ჩირგვაძე, წყალტუბოს რაიონი, სოფელი ცხენკური).

— რადგან თქვენ ამჟამად ითვლებით კოლმეურნეობის წევრად და, როგორც წერთ, 48 წელია აქტიურად მონაწილეობთ საკოლმეურნეო შრომაში, კომისიამ უნდა მიგაკუთვნოთ კოლმეურნეთა კატეგორიას და ამის გათვალისწინებით გამოგიყოთ მიწის ნაკვეთი.

შეკითხვა: აქვს თუ არა ადგილობრივ კომისიას უფლება საკარმიდამო ნაკვეთის შევსება მოახდინოს რკინიგზის განსხვისების ზოლიდან. (ლ. ხუციშვილი, ბორჯომის რაიონი, სოფელი დვირი).

— არა, კომისიას ამის უფლება არა აქვს.

სართულები ცისკენ მიიწევენ

სასიხარულო მოვლენის [illegible]ენი გახდნენ რუსთაველები — ამუშავდა სახლთსაშენებლო კომბინატი. ახლანდელ რთულ ვითარებაში მშენებლობა განხორციელდა მეტალურგიული კომბინატის სახსრებითა და საშუალებებით. ეს არის თანამედროვე საწარმო, სადაც ყველა პროცესი მექანიზებული და ავტომატიზებულია. კომბინატი წელიწადში გამოუშვებს 80 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელ სახლებს. ახალი სერიის სახლებს მეტალურგები და ქიმიკოსები მომავალი წლის მეორე კვარტალში მიიღებენ.

დღეს, როცა მშენებლობათა უდიდესი ნაწილი დაკონსერვებულია, რუსთავი ამ მხრივ ბედნიერი გამონაკლისია. ხარაჩოები სულ მაღლა მიიწევენ, მშენებლებმა ჩააბარეს 5,2 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლი, სადაც მალე დაიწყება ჩასახლება. დამთავრდა აგრეთვე 4 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის დამონტაჟება, რომლის საერთო ფართობი 24,5 ათასი კვადრატული მეტრია. იგი მომავალი წლის პირველ კვარტალში მიიღებს ახალმოსახლეებს.

სამშენებლო მასალების დეფიციტისა და სხვა სიძნელეთა მიუხედავად, გრძელდება მეტალურგიული ქარხნის ელექტროფოლადსადნობი საამქროს და საავადმყოფო-პოლიკლინიკის კომპლექსის მშენებლობა. თითქმის დასრულებულია 180-ადგილიანი სამშობიარო სახლიც. ქალაქის წყალმომარაგებისა და გაზმომარაგების გაუმჯობესების მიზნით შენდება წყლის რეზერვუარი, მიმდინარეობს გაზსადენის დარგოლვის სამუშაოები და ა. შ.

დავით ბიწაძე.

პრივატიზება:
ზოგჯერ ნამდვილად ფარული

ზურაბ გარაყანიძე,
საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს განყოფილების გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

რესპუბლიკის კონტროლის პალატაში

პრივატიზება საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესში ის აუცილებელი „ბოროტებაა", რომელსაც გვერდს ვერ აუვლის საქართველოს ეკონომიკა. ამასთან, ესაა პროცესი, რომელიც პერმანენტულად მიმდინარეობს და, როგორც დასავლეთის ეკონომიკის გამოცდილებით ჩანს, უწყვეტია. ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ერთმანეთს მუდმივად ცვლის ნაციონალიზების და ხელახალი პრივატიზების პროცესები. კონკურენტული ბრძოლის პირობებში ე. წ. აუტსაიდერების, გაკოტრებული საწარმოების, სხვადასხვა მიზეზით ჩამორჩენილი მთელი დარგების ნაციონალიზების პრაქტიკა ან სამხედრო-სტრატეგიული, თუ სხვა დანიშნულების საწარმოთა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით შექმნა, მომძლავრება და შემდეგ კერძო სექტორზე გადაცემა ხომ ცნობილი მოვლენებია ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ინდუსტრიული ქვეყნების სინამდვილეში. ამასთან, არავითარ შემთხვევაში არ ხდება მათი მოსახლეობისთვის ჩუქება, ვინაიდან ეს, როგორც სამართლიანად მიუთითებს ცნობილი უნგრელი ეკონომისტი იანოშ კორნაი თავის წიგნში „გზა თავისუფალი ეკონომიკისაკენ", არის ყბადაღებული სოციალისტური გათანაბრების ნაირსახეობა და გამოიწვევს კერძო ინიციატივის ჩანასახშივე ჩაკვლას. ამიტომ, ყველაზე ნორმალური გზა პრივატიზაციისა არის სახელმწიფო ქონების გაყიდვა ბაზარზე. ამით ორი მიზანი ერთდროულად მიიღწევა: ჯერ ერთი, რეალურად შეფასდება ქონება და მეორე, მისი მყიდველი სისხლხორცეულად დაინტერესებული ხდება ნაყიდი ქონების (და არა ნაჩუქარის), რაც შეიძლება ეფექტიან გამოყენებაში.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1992 წლის 2 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტის ბატონ ამირან გაბისონიას საგულისხმო წერილი „პრივატიზაცია (გაკერძოება): ნამდვილი და ფარული", რომელშიც ავტორი სრულიად სამართლიანად მიუთითებს ე. წ. ფარული პრივატიზების პროცესის შესახებ, რომელიც რეალურად მიმდინარეობს საქართველოს სახალხო მეურნეობაში, პირველ რიგში, კი ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში. ამ პროცესის განსაკუთრებული, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული, „ლეგალური" გზაა საწარმოთა გადაცემა შრომით კოლექტივებზე (სინამდვილეში საწარმოს ხელმძღვანელობას პლუს ადამიანთა საქმიანი ბირთვი, — როგორც აღნიშნავს ა. გაბისონია) გამოსყიდვის უფლებით გაცემული იჯარის ფორმით, ამასთან, საწარმოს შეფასება ხდება საბალანსო ღირებულებით; დღეს მოქმედ ფასებთან შედარებით, ფაქტობრივად რამდენჯერმე იაფად.

რესპუბლიკის კონტროლის პალატამ შეისწავლა თბილისის საზკვების სამმართველოში შემავალი კომერციული ფირმა „დიდუბე"-ს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა, რომელსაც სწორედ, გამოსყიდვის ფორმით აქვს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება სამმართველოსთან. ხელშეკრულების გაფორმებაშივე ჩადებულია მნიშვნელოვანი დარღვევა. კერძოდ, საზკვების ქალაქის სამმართველო არ არის იმ ქონების მესაკუთრე, რომელიც გადაეცა იჯარით ტრესტს. ხელშეკრულების გაფორმებისას ყოფილი დიდუბის რაიონის საზკვების ტრესტი გახდა სრული სამეურნეო ანგარიშით მეურნე სუბიექტი და ეწოდა პრესტიჟული სახელი ფირმა. ანალოგიური დარღვევით გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულებები ჩუღურეთის, ვაკის, სამგორისა და ისნის საზკვების ტრესტებთანაც, სადაც მეიჯარის როლშია ქალაქის საზკვების სამმართველო, მოიჯარეები კი — ტრესტებია. სინამდვილეში მხოლოდ ტრესტები (როგორც ქონების განმკარგველები) შეიძლება იყვნენ მეიჯარეები, ხოლო მათში შემავალი საწარმოები — მოიჯარეები. მოიჯარის როლში საწარმოს გამოსვლის არსი სამეურნეო დამოუკიდებლობის უფლების მოპოვებაში მდგომარეობს, ტრესტი კი იჯარაზე გასვლამდეც მუშაობდა თვითდაფინანსების და თვითანაზღაურების პრინციპებით, აქედან გამომდინარე, მათ მიერ იჯარის გაფორმებას არავითარი აზრი არ ჰქონდა. სწორედ, ზემოთ განხილული არგუმენტების გათვალისწინებით საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ 1992 წლის 8 მაისს მიიღო დადგენილება ხსენებული საიჯარო ხელშეკრულებების გაუქმების შესახებ, რომელიც არ შესრულდა იმ მიზეზით, რომ ქალაქ თბილისის საზკვების სამმართველო არ დაეთანხმა სამინისტროს გადაწყვეტილებას. სამმართველომ წარმოადგინა სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის წერილი, რომლითაც მან ნება დართო დაედო ასეთი საიჯარო ხელშეკრულებები. საბოლოოდ, თბილისის მერიამ 1992 წლის 1 ოქტომბერს მიიღო დადგენილება მართვის შუალედური რგოლების გაუქმების შესახებ, რითაც შეწყდა აღნიშნული საიჯარო ხელშეკრულებები და აღდგა კანონიერება ამ სფეროში.

ზემოაღნიშნულის გარდა საკმაოდ ფართო მასშტაბები მიიღო ფარული პრივატიზაციის ისეთმა ფორმამაც, როგორიცაა სავაჭრო ობიექტების ბალანსიდან ბალანსზე პირდაპირი გადაცემა, რითაც, ბუნებრივია, სახელმწიფო საკუთრების ნაწილი „ამოვარდება" საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან, ამით კი სახელმწიფო ბიუჯეტი კარგავს მათი აუქციონზე ან კონკურსის წესით გაყიდვით მიღებულ ამონაგებს.

ამის მაგალითია გლდანის რაიონის საზკვების ტრესტის მიერ კომერციული სტრუქტურებისათვის ორი ობიექტის გადაცემა. ტრესტის სასადილო, რომელიც მდებარეობს მუხიანის დასახლების მეორე მიკრორაიონის მეხუთე კორპუსში, 1990 წლიდან გადაეცა კოოპერატივ „მთურავს", რის შესახებ გლდანის რაიონის გამგეობაში არ აღმოჩნდა არავითარი საფუძველი. ობიექტი კარგა ხანია დაკეტილია და არ ფუნქციონირებს. ხოლო თანხა 12,4 ათასი მანეთი კოოპერატივს ტრესტისათვის ბალანსიდან ბალანსზე დღესაც არ ჩაურიცხავს.

გლდანის რაიონის გამგეობის 1992 წლის 18 მაისის № 178 განკარგულების თანახმად საზკვების ტრესტის № 8 გაერთიანება გადაეცა სამრეწველო სავაჭრო ფირმა „ლილოს".

ორივე ობიექტი საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 5 მარტის № 268 დადგენილებით ექვემდებარებოდა მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ ერთი თვის ვადაში წარსადგენ იჯარით გადაცემული ქონების ნუსხაში ასახვას სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტში და თბილისის მერიაში. ბუნებრივია, სახელმწიფო ბიუჯეტმა აღნიშნული „ოპერაციებით" რამდენიმე ასეულობით ათასი მანეთი დაკარგა. აღნიშნულ ტრესტში ფართო მასშტაბი მიიღო სავაჭრო დანადგარების განიავებამაც. 1992 წელს არსებული წესის უხეში დარღვევით ჩამოწერილია 21 დასახელების დანადგარი, რაზეც ტრესტში აღმოჩნდა მხოლოდ „ვაჭრობმონტაჟის" დეფექტური აქტი. ტრესტის მე-2 გაერთიანებაში 14 დასახელების დანადგარის ჩამოწერის სისწორის დადგენის მიზნით დათვალიერებულ იქნა ისინი და დადგინდა, რომ გარდა ერთი შემთხვევისა, საქარხნო ნომრები არ შეესაბამება დეფექტურ აქტში აღნიშნულ ნომრებს. მე-7 გაერთიანებაში კი ჩამოწერილი 7 დასახელების დანადგარიდან სამი (ერთი კამერა-მაცივარი და ორი საკონდიტრო კარადა), საერთოდ არ აღმოჩნდა ადგილზე. არ შესრულებულა რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს 1992 წლის 12 ივნისის № 18/6-51 ბრძანება ჩამოწერილი დანადგარების „ვაჭრობმონტაჟზე" გადაცემის შესახებ.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებში მათი გაყიდვის გზით პრივატიზების დაწყებამდე ჩატარდეს ინვენტარიზაციები, რათა გზა გადაეკეტოს სახელმწიფო ქონების გაყიდვა-განიავებას კერძო სტრუქტურებზე და ამით დაცულ იქნას სოციალური სამართლიანობაც და სახელმწიფო ინტერესებიც. ინვენტარიზაციები საჭიროა განხორციელდეს მმართველობის ადგილობრივი ორგანოების და უწყებრივი მართვის რგოლების ხელმძღვანელობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართალმა გვიან იცის მოსვლა

ადვოკატს, რომელიც საქართველოს მოქალაქეს იცავს, საოლქო კოლეგიიდან გარიცხავენ

მოულოდნელი იყო სტუმრობა — სტუმარიც და მისი მოსვლის მიზანიც.

კართან იდგა ძალზე პოპულარული და ამიტომ, ეგებ, ყველაზე ძვირადღირებული მოსკოველი ადვოკატი ევგენი ვოლფი, რომელსაც საქართველოში, მეხსიერებას თუ დაძაბავენ, კარგად გაიხსენებენ ამ რამდენიმე წლის წინანდელი გახმაურებული პროცესით.

— რას მივაწეროთ თქვენი მოსვლა რედაქციაში? თქვენი მოუცლელობა (დატაცებაზე ხართ), ჩვენი მოუწყობლობა, სტუმრობისთვის შეუფერებელი სიტუაცია თბილისში თქვენი ჩამოსვლის მიზეზი ვერ გახდებოდა.

— ბუნებრივია, რომ თბილისში შემთხვევით არ აღმოვჩნდი, ამჯერად ჯონი გიორგის ძე ურუშაძის ბედზე ზრუნვამ მომიყვანა თქვენთან, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტროს გაერთიანების გენერალურ დირექტორად მუშაობდა.

1990 წლის 30 მაისს ქალაქ სოჭში სპეციალურმა ჯგუფმა, რომელიც სსრკ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებისგან შედგებოდა, დააპატიმრა იგი. მიზანი ერთი იყო — მისგან მიეღოთ მაკომპრომეტირებელი მასალები საქართველოს იმდროინდელი მთავრობის რამდენიმე წევრზე.

ბატონმა ჯონიმ, რომელიც, ვფიქრობ, თავისებურად ძალიან წესიერი კაცია, არ გადადგა ასეთი ნაბიჯი და შედეგად აღმოჩნდა „მატროსკაია ტიშინა“-ში, ამ საპატიმროში, სადაც დღეს „გეკაჩეპისტები“ იმყოფებიან.

თავდაპირველად მოვლენები ძალიან სწრაფად განვითარდა.

სამ-სამნახევარი კვირის მანძილზე, კანონის საწინააღმდეგოდ, მას საშუალება არ მისცეს შეხვედროდა თავის ადვოკატს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა უფლებამოსილება მქონდა მისი საქმის წარმართვისათვის, ახლოს არ გამიკარეს და ცდილობდნენ მიეღოთ მისგან ისეთი ჩვენებები, როგორიც სურდათ.

მაგრამ ბატონმა ჯონიმ შეძლო თავისი პიროვნული ღირსების და, თავისებურად, მოქალაქეობრივი ღირსების შენარჩუნება.

რადგან მასთან სასურველ კომპრომისს ვერ მიაღწიეს, ამოქმედდა ბრალდების მანქანა, რაც ამგვარ შემთხვევაში ჩვეულებრივ ხდება ხოლმე.

სისხლის სამართლის ყველა დანაშაული ორ კატეგორიად იყოფა. პირველი, ე. წ. ტექნიკური დანაშაული (როგორც ჩვენ ვეძახით) — ქურდობა, მკვლელობა, ძარცვა და ასე შემდეგ, სადაც ყველაფერი სახეზეა: გარკვეულია შემთხვევის ადგილი, არის ბოროტმოქმედი, გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოები იღებენ ინფორმაციულ საბაბს დანაშაულის ჩადენიდან გამომდინარე; ან ეძებენ დამნაშავეს, ან აპატიმრებენ; მიმდინარეობს განხილვა ჯერ გამოძიების, შემდეგ სასამართლოს დონეზე და ამგვარად გაირკვევა სამართალდაცვითი სისტემა ამ საქმეში.

არის მეორე კატეგორია, სამეურნეო დანაშაული, რომელსაც განეკუთვნება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ქრთამის მიცემა და აღება, თანამდებობრივი სიყალბის ჩადენა და ასე შემდეგ.

აი, ეს უკანასკნელი დარღვევები პირველი მიახლოებისას თითქოს არ ჩანს და საჭიროა მათი არარსებობიდან მიღება. მიზანმიმართული მუშაობა ამ კუთხით მაშინ, როდესაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი დაინტერესებული არიან, კიდევაც იძლევა ამგვარი საქმეების ფალსიფიცირების საშუალებას.

ასე იყო ყოფილ კავშირში, და მე არ გამოვრიცხავ, რომ ამგვარი პრაქტიკა დღესაც გრძელდება.

როგორ იყო წინათ? ყველამ ვიცით, რომ კომუნისტის დაპატიმრება შესაბამისი პარტიული კომიტეტის სანქციის გარეშე არ შეიძლებოდა, არადა, იმ თანამდებობებზე, სადაც სერიოზული დანაშაულის ჩადენა შეიძლებოდა, ისხდნენ მხოლოდ კომუნისტები, ადამიანები, რომლებსაც შესაბამისი პარტიული ინსტანციები ამტკიცებდნენ.

ამიტომ საკითხი ჯერ, როგორც ჩვენ ვამბობთ, პარტიულ დონეზე „იხარშებოდა“, და მხოლოდ ამის შემდეგ გადადიოდა ზემოქმედების საპროცესო, სისხლის სამართლის იურიდიულ ზონაში.

ჩამოყალიბდა პრაქტიკა, როდესაც მსგავსი ხასიათის საქმეები, როგორც წესი, შესაბამისი პარტიული კომიტეტების მითითებით ჩნდებოდა და, როგორც წესი, რაღაც სტრუქტურული ცვლილებების, გადაადგილების, მოხსნის, დანიშვნის მიზნით კეთდებოდა.

მაგრამ ჯონი ურუშაძე დღემდე თავის თანამდებობაზე რჩება, რადგან არც მაშინდელი მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი, არც ამჟამინდელი მატერიალური რესურსების სამინისტრო მას არ ათავისუფლებენ. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს მათზე. ისინი უპასუხებენ — თუ მიგაჩნიათ, რომ იგი დამნაშავეა, გაასამართლეთ, მოგვეცით განაჩენი და ჩვენც გავათავისუფლებთო. უნდა ითქვას, რომ ეს გარკვეულად მოქალაქეობრივი მამაცობაა.

რაში დებენ ბრალს ჯონი ურუშაძეს? იმაში, რომ თითქოს მან ქრთამი მისცა სსრკ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს თანამშრომელს. ეს მოიმოქმედა საქართველოს კოოპერატივების ინტერესებისათვის. საქმეში 400-ზე მეტი ასეთი კოოპერატივია დასახელებული. რა თქმა უნდა, არავის არავითარი ჩვენება ურუშაძის საწინააღმდეგოდ არ მიუცია, და ეს არის გამოძიების უმოტივო პოზიცია. თითოეულ კოოპერატივში მინიმუმ ორი ხელმძღვანელია — თავმჯდომარე და მთავარი ბუღალტერი. ეს უკვე, უხეშად რომ ვიანგარიშოთ, 800 კაცზე მეტია, პლიუს გაერთიანების აპარატის მუშაკები, ესეც 100-150 კაცი. შემდეგ, ამ გაერთიანების მაღაზიების დირექტორები, მოკლედ, 1.000 კაცზე მეტი.

ჯონი ურუშაძის გაუტეხლობამ და უკომპრომისობამ 1990 წელს საქართველოს ათასზე მეტი მოქალაქე გადაარჩინა, რომელთაც ესა თუ ის თანამდებობა ეკავათ სახელმწიფო და სამეურნეო სტრუქტურებში. მან მთელი დარტყმა თავის თავზე მიიღო და ამ მოვლენების შემდგომ განვითარებას გზა გადაუღობა.

დღეს საკითხი სხვა სტადიაში გადაიზარდა.

სამწუხაროდ, ჯონი ურუშაძის ფიგურა პოლიტიკური გაცვლის კარტი გახდა ყოფილ საბჭოთა კავშირსა და საქართველოს შორის. 1991 წლის მაისში ჩვენ გავიგეთ, რომ მზადდებოდა კომბინაცია, რომლითაც ურუშაძე ტორეზ კულუმბეგოვზე უნდა გაეცვალათ. თითქოს ამ აქციაში რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროც მონაწილეობდა. „ნეზავისიმაია გაზეტაში“ გამოქვეყნდა შესაბამისი პუბლიკაცია. დიდი დავიდარაბა ატყდა. მერე რაღაცნაირად მინელდა. შემდეგ, სიტუაციის შეცვლის შედეგად, კულუმბეგოვი გაათავისუფლეს.

დაპატიმრებულის საქმე კი ორი წლის მანძილზე უძრავად დევს.

გახსოვთ, რასაკვირველია, 1991 წლის აგვისტოს პუტჩის ამბები.

აი, ამ დროს, უფრო ზუსტად 1991 წლის 20 აგვისტოს, ცენტრალურმა ტელევიზიამ პროგრამა „ვრემიათი“ გადასცა მიმოხილვა სამართალდარღვევათა შესახებ, რომელიც შედგენილი იყო სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ და ერთგვარად ამართლებდა საგანგებო მდგომარეობის შემოღებას: — დანაშაულობანი ქვეყანაში იმდენად საშიშ მასშტაბს იღებს, რომ ასეთი განსაკუთრებული ღონისძიების განხორციელება აუცილებელი ხდება. ამ მიმოხილვაში დაასახელეს რიგი საქმეებისა, როგორც მაგალითები დიდი, კორუმპირებული, მაფიოზური სტრუქტურების არსებობისა ქვეყანაში, და, მათ შორის, ჯონი ურუშაძის საქმეც.

ახლა უკვე ამ კუთხით შეეცადნენ საქმის გათამაშებას. მაგრამ დაიშალა საბჭოთა კავშირი და ეს კამპანიაც მინელდა. სამაგიეროდ შეიქმნა უაღრესად საინტერესო სამართლებრივი სიტუაცია.

ჯონი ურუშაძეს 1991 წლის მაისში საბოლოო საბრალდებო დასკვნა წარუდგინა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარმა საგამომძიებლო სამმართველომ. მას ბრალად ედებოდა თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რამაც სერიოზული ზიანი მიაყენა საბჭოთა კავშირის ინტერესებს, და სსრკ საგარეო-ეკონომიკური კავშირების სამინისტროს მუშაკისათვის ქრთამის მიცემა.

რა შეიძლება ითქვას ამ ბრალდებათა ხარისხზე?

ჩემი აზრით, ეს ავადმყოფის ნაბოდვარი უფროა.

თავად განსაჯეთ, მას ბრალს დებდნენ რუსეთის კანონების მუხლებით მაშინ, როდესაც ერთი დღეც არ უმუშავია რუსეთში. ეს პირველ ბრალდებაზე.

რაც შეეხება მეორეს, აქ უამრავი კითხვა იბადება. მაგალითად ფული, რომელიც საქმეში ფიგურირებს, ქალწულებრივ ხელუხლებელი აღმოჩნდა. ბანკის შეკვრაზე ვერავითარი ანაბეჭდი ვერ აღმოაჩინეს — ვერც „მიმცემის“, ვერც „ამღების“, არც ბანკის მუშაკისა. საერთოდ — არაფერი! ეს, წარმოდგენა რომ გქონდეთ მტკიცებულებათა დონეზე. მაგრამ მე არ მინდა ამ სფეროს უფრო დეტალურად შევეხო.

სხვა რამ მაწუხებს.

საბჭოთა კავშირმა შეწყვიტა არსებობა. ბრალდება, რომელიც მისი ინტერესების დასაცავად იყო წაყენებული, ჰაერში გამოკიდებული დარჩა. აღარც ის ორგანოებია, რომელთაც საბრალდებო დასკვნა მიიღეს, აღარც მისი შემდგენელი მუშაკებია, რომლებიც ადრე საბჭოთა კავშირის, შემდეგ უკვე რუსეთის სამართალდამცავი ორგანოს აპარატში იყვნენ.

გავიდა 9 თვე და საქმე მოსკოვის ქალაქის სასამართლოში აღმოჩნდა. უპრეცედენტო სიტუაციაა: ჯონი გიორგის ძე ურუშაძემ, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქემ ზარალი მიაყენა რუსეთს, ამიტომ იგი უნდა დაისაჯოს რუსეთის კანონებით და რუსეთმა უნდა წარუდგინოს მას ბრალდება. ეს ელემენტარულია. მაგრამ სწორედ ამას არ აკეთებენ. ამ საკითხის გონივრულად გადაწყვეტის სხვადასხვა ვარიანტებით რუსეთის გენერალურ პროკურორს მიმართეს საქართველოს გენერალურმა პროკურორმა, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, მაგრამ პასუხები დამაჯერებელი არ იყო.

ამ უკანასკნელის მიერ რუსეთის ვიცე-პრეზიდენტისათვის გაგზავნილი წერილი კი საერთოდ უპასუხოდ დარჩა. ასეთ თვითნებობას კომუნისტების დროსაც არ შევხვედრივარ. ისინი გარეგნულ ფორმას მაინც ინარჩუნებდნენ. ეს დაცვის აგების საშუალებას იძლეოდა. მაგრამ როგორ წარვმართოთ დაცვა მოსკოვის საქალაქო სასამართლოში ისეთ საქმეზე, რომელზეც ბრალდება წარდგენილი არ არის, ე. ი. ადამიანი არ არის ბრალდებული? და თუ ბრალდებული არ არის, არც განსასჯელი შეიძლება იყოს.

სისულელეა?

არა. მე მგონი, ყველაფერ ამას თავის დაღს ასვამს საქართველოში მიმდინარე მოვლენები და ყველაფერი ის, რაც მათ გარშემო ვითარდება. გარკვეული წრეები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ორი ქვეყნის — რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის დესტაბილიზაციით, ცდილობენ ეს ფაქტი, როგორც ერთი აგური, ჩადონ გაუცხოების აღსამართავ კედელში.

საკითხავია, რისთვისაა საჭირო სასამართლო პროცესი, რომელზეც შეუძლებელია საბრალდებო დასკვნის წარდგენა? რა, რუსეთში აღარ არიან განათლებული იურისტები, ვისაც ძალუძთ ამის გაკეთება? თუ რუსეთს არ გააჩნია კანონით დაცული ინტერესები, რომლებზეც ხელი აღმართა საქართველოს მოქალაქემ, მაშინ, ასეთი მოქალაქის სამართალში მიცემა ბრალდების გარეშე სხვა არაფერია, თუ არა რესპუბლიკისადმი უპატივცემლობის დემონსტრაცია.

აი, ამ ერთ წვეთში აისახა დიდი პრობლემები.

— მეჩვენება, რომ რაღაც ამგვარი განიცადა თვით რუსეთმა, როდესაც რიგის „ომონის“ უფროსის მოადგილის რუსეთისათვის გადაცემა თხოვა ლიტვას.

— გეთანხმებით. და აქ ჩვენ ორგანულად მივადექით იმ საკითხს, რომლის შესახებ ცოტა მოგვიანებით ვაპირებდი მესაუბრა. სავსებით ოფიციალურად ვაცხადებ, რომ მე არაოფიციალურად მომმართეს „ომონისა“ და რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა, რათა დავხმარებოდი ჯონი ურუშაძის რიგის „ომონის“ უფროსის მოადგილის პარფიონოვზე გაცვლის საქმეში.

აქ საინტერესო ანალოგიები ჩნდება.

ერთი მხრივ, პარფიონოვი, რომელიც, მართალია, ასრულებდა ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მითითებას, მოქმედებდა ლატვიის ტერიტორიაზე. ამ მოქმედებით დაზარალდნენ ამ ქვეყნის მოქალაქენი. ახლა ნუ განსჯით დამტკიცებულია თუ არაა დამტკიცებული პარფიონოვის ბრალეულობა.

მსგავსის არაფრის თქმა არ შეიძლება ჯონი ურუშაძის საქმესთან დაკავშირებით. არავითარი კონტაქტები რუსეთის მოქალაქეებთან, მით უფრო, თანამდებობის პირებთან მას არ ჰქონია; არ მუშაობდა რუსეთში და, მაშასადამე, არც არავითარი ზარალის მიყენება რუსეთისათვის არ შეეძლო. ხოლო ის მითიური საკავშირო ზარალი, რომელიც სურთ მას მიაწერონ, ჯერ კიდევ გასარკვევია. მაგალითად, რა ნაწილია ამ ზარალიდან, თუ კი არის იგი, რუსეთის? იქნებ საქართველოს ნაწილიც არის? თეორიულად ეს შესაძლებელია, ისევე, როგორც მოლდავეთისა და თურქმენეთის ნაწილის არსებობაც. გადავცეთ ჯონი ურუშაძე ამ რესპუბლიკებსაც სასამართლო რეპრესიების განსახორციელებლად?

თუ სიტუაციაში გარკვევა გსურს, ყოველთვის ტრადიციულ შეკითხვაზე უნდა ეძებო პასუხი: — ვის აძლევს ეს ხელს? დემოკრატიულ რუსეთს? მე მგონია, რომ — არა, საქართველოზე ლაპარაკიც ზედმეტია. ვფიქრობ, რომ ეს ხელს აძლევს იმათ, ვისაც არ სურს გაგრძელდეს დემოკრატიზაციის პროცესი, იმათ, ვინაც ყოფილი სსრ კავშირის ანდერძის შესრულება თავს იდო. ამ ხალხს კი კანონიერების საკითხები სრულიადაც არ აწუხებს.

მოსკოვის ქალაქის სასამართლოში ჩვენ წარვადგინეთ მოტივირებული შუამდგომლობა იმის თაობაზე, რომ ურუშაძის საქმის მის წარმოებაში გადაცემა უკანონობაა, ისევე, როგორც ურუშაძის და სხვათა ყოფნა ამ სასამართლო პროცესზე.

სასამართლო აპირებს განაჩენის გამოტანას რუსეთის ფედერაციის სახელით. მაგრამ რის საფუძველზე? ბრალდება რუსეთს რომ არ წარუდგენია? ვთქვათ, გამართლება უნდათ მისი. მაგრამ ამის უფლებაც არ გააჩნიათ. შემდეგ: არ არის ბრალდება, მაშასადამე, არც დაცვის საშუალება აქვს ჯონი ურუშაძეს. ეს კი ნიშნავს, რომ დარღვეულია ადამიანის ელემენტარული უფლება.

რას აკეთებს ამ დროს სასამართლო?

მოსკოვის ქალაქის სასამართლო გამოაგდებს ურუშაძის ადვოკატს ამ სასამართლო პროცესიდან და ეძებს „შტრაიკბრეხერ“ ადვოკატს. სწორედ ასე მომექცნენ მე. ადვოკატთა მოსკოვის საოლქო კოლეგიაზე კი განიხილება კოლეგიიდან ჩემი გარიცხვის საკითხი.

რადიოსადგურები „ეხო მოსკვი“, „ოსტანკინო“, ცენტრალური ტელევიზია, ინტერფაქსი, „მოსკოვსკი კომსომოლეცი“, „ლიტერატურნაია გაზეტა“, „ნეზავისიმაია გაზეტა“, ჟურნალი „სტოლიცა“ და სხვა გამოცემები ამ კონკრეტულ თემაზე სერიოზული მასალებით გამოვიდნენ, მაგრამ უშედეგოდ.

ეს საკითხი უკვე საქართველოს პარლამენტის დონეზე განსახილველად მომწიფდა, სწორედ პარლამენტმა უნდა მოახდინოს რეაგირება. თუ რუსეთის პარლამენტი რიგის „ომონის“ უფროსის მოადგილის რუსეთისათვის გადასაცემად ლატვიის პარლამენტს მიმართავს, საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს უფრო მეტი საფუძველი აქვს მიმართოს რუსეთის უმაღლეს საბჭოს ჯონი ურუშაძის საქმის თაობაზე.

ჩვენ უკვე მივმართეთ პარლამენტის ადამიანთა უფლების დაცვის საკითხთა ახლადშექმნილი კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ლორთქიფანიძეს. და მგონი ჩვენს პოზიციას გაგებით შეხვდნენ. ვფიქრობ, რომ შესაბამისი დოკუმენტიც შეიქმნება.

მაგრამ მხოლოდ პარლამენტის იმედად ამ საკითხის დატოვება არ იქნება საკმარისი. დადგა დრო საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისათვის და ეს არის მთავარი ამოცანა, რის გამოც თბილისში ჩამოვედი და გესტუმრეთ რედაქციაში.

ესაუბრა
გიორგი კორძაია.

• • •

სურათებზე: ევგენი ვოლფი (მარცხნივ) და ჯონი ურუშაძე „მატროსკაია ტიშინაში“.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

სათქმელი ითქვას

ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას

ზურაბ ტატაშიძე-ტინტილოზოვი,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი

ბოლო ხანებში ბევრი მასალა იბეჭდება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე, აფხაზეთში შექმნილი ვითარება უკიდურესად მწვავეა და ეს ყველას გვჭდელვებს. სეპარატისტულმა ძალებმა სანადელს მიაღწიეს: იღვრება ძმათა სისხლი! ჩვენ გვჯერა, აფხაზები და ქართველები შერიგდებიან, გონიერება გაიმარჯვებს! ამის საიმედო საფუძველს იძლევა მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოსა და რუსეთის, აგრეთვე მეზობელი სახელმწიფოების მეთაურები. ეს დოკუმენტი ცალსახად აღიარებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას, მისი საზღვრების ხელშეუხებლობას. მართლაც, ერთ მიწა-წყალზე ქართველებისა და აფხაზების თანაცხოვრების ფაქტი საუკუნეებს ითვლის და შეუძლებელია ამ რეალობას ანგარიშს არ უწევდეს. აფხაზეთში მცხოვრები ძირძველი თუ სხვა ხალხების ყოფა კვლავაც უნდა დაეფუძნოს სამარადჟამოდ ერთად ცხოვრების სულისკვეთებას, თუმცა საბჭოური სინამდვილისაგან განსხვავებით, ამჯერად დაცული იქნება საერთაშორისო ნორმები ადამიანისა და ეროვნული უმცირესობის უფლებათა დარგში, გამოირიცხება დისკრიმინაცია ეროვნების, ერის და რელიგიური ნიშნის მიხედვით, რაც ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების გარანტიას იძლევა.

საუკუნეების განმავლობაში ერთად მოსახლე ხალხებს შესაძლოა, ბევრი რამ დაუგროვდათ სადავო და სადისკუსიო, მით უმეტეს, როცა წერილობითი წყაროები ნაკლებად არის შემონახული ანდა დამაჯერებლად ვერ აშუქებს გარდასული საუკუნეების თანაცხოვრების პერიპეტიებს. არანაკლებ სავალალო ის არის, როცა არცთუ იშვიათად, სადისკუსიოდ თუ საკამათოდ ისეთი მოვლენა იქცევა, რომელიც ჩვენ თვალწინ მოხდა და რომლის უშუალო მონაწილენი ჩვენ თვითონ ვართ.

რა გვაქვს მხედველობაში?

ქართველი მკვლევარები აფხაზეთში არა ერთი შესანიშნავი გეოგრაფიული აღმოჩენის ავტორები არიან. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ახალი ათონისა და მჭიშთას უნიკალური მღვიმეები, დედამიწაზე ულრმესი კარსტული ჰიდროგეოლოგიური სისტემები და სხვა.

ახალი ათონის მღვიმის კვლევას თითქმის ორი ათეული წელი შევალიეთ და გვეამაყება, იგი დღეს უაღრესად პოპულარული ძეგლია! ეს მღვიმე მნახველებისათვის 1975 წლის 4 ივლისს გაიხსნა და მისმა დამთვალიერებელთა რიცხვმა 10 მილიონს გადააჭარბა. ქართულსა და უცხო ენებზე მას მიეძღვნა ჩემი და ჩემი კოლეგების არა ერთი და ორი მონოგრაფია თუ საჟურნალო პუბლიკაცია, გადაღებულ იქნა სამეცნიერო-პოპულარული დოკუმენტური ფილმები, რომლებიც ობიექტურად ასახავენ მღვიმის აღმოჩენის, კვლევის და სხვა საკითხებს. ამ სტუმართმრავალი ძეგლის უხიფათო ექსპლუატაციის ინტერესებისათვის საჭირო გახდა მიწისქვეშ სისტემატური დაკვირვებების წარმოება. ამ მიზნით რესპუბლიკის მთავრობის სპეციალური განკარგულებით (№ 950, 12. VIII, 1974), მღვიმის შესასვლელთან სამეცნიერო სტაციონარის მშენებლობა გადაწყდა, შეირჩა მისი ადგილი, შემუშავდა პროექტი, მაგრამ აფხაზმა კოლეგებმა ყველაფერი გააკეთეს მისი ჩაშლისათვის! შედეგმაც არ დააყოვნა: მღვიმეში გაძლიერდა ქვათაცვენა, მოუვლელობისა და უყურადღებობის გამო უნიკალური ძეგლი გაპარტახების პირას აღმოჩნდა! მაგრამ ჩვენი დღევანდელი საუბარი სხვა მტკივნეულ საკითხს ეხება, კერძოდ, აფხაზი კოლეგების მიერ იმის თავგამოდებულ მცდელობას — ყველანაირი ხერხებით დაამახინჯონ ახალი ათონის მღვიმის აღმოჩენის ისტორია, დააკნინონ, მიჩქმალონ ქართველი მკვლევარების არსებითი წვლილი მის კვლევასა და კეთილმოწყობის საქმეში.

ამის თაობაზე არაერთგზის მოგვიხდა პროტესტის გამოთქმა მღვიმის კომპლექსის დირექციის მისამართით, უფრო მაღალ ინსტანციებშიც, რასაც, სამწუხაროდ, რეაგირება არ მოჰყოლია. აფხაზებთან დავას ხომ ყველა თავს არიდებდა?! ცამდე მართალნი რომ ვყოფილიყავით, მაინც ჩვენ უნდა დაგვეთმო! ასეთი იყო საბჭოური სახელმწიფო პოლიტიკა, რის შედეგებსაც ახლა ვიმკით. არადა, რა იყო აქ მოსარიდებელი ან გასაჩუმებელი? მღვიმის აღმოჩენის თაობაზე კომპლექსის დირექტორი და მისი აპარატი უსირცხვილოდ აწვდიდნენ გამოგონილ ინფორმაციას მრავალრიცხოვან ექსკურსანტებს. უკვე პირველსავე დარბაზში — „აფხაზეთში“ ყურადღებად ქცეულ ექსკურსანტთა ჯგუფს საზეიმოდ აუწყებენ: „ამ მღვიმის აღმოჩენა დაკავშირებულია ადგილობრივ მკვიდრის — გივი სმირის სახელთან! 15 წლის ბიჭუკი პირველი ჩაეშვა ამ მღვიმეში“ და ა. შ.... არავითარი სხვა პასაჟები! მხოლოდ გ. სმირი! არადა, ვიმეორებ, ეს აფხაზების გამოგონილი ისტორიაა და მას არაფერი აქვს საერთო ობიექტურ სინამდვილესთან. სხვათა შორის, მღვიმის აღმოჩენის შესახებ აფხაზმა კოლეგებმა ასეთივე აზრი გაავრცელეს ყოფილი სსრ კავშირის ჟურნალ-გაზეთებშიც. სრულებითაც არ მინდა მივჩქმალო ჩემი კოლეგის — გ. სმირის აქტიური მონაწილეობა ახალი ათონის მღვიმის კვლევის პირველი წლების ექსპედიციებში. სწორედ ამიტომ, იგი მღვიმის პირველ აღმომჩენთა ოთხეულში შევიდა და არავინ ხდის ამას საკამათოს. მაგრამ რაში მდგომარეობს მისი გამორჩეული წვლილი (ხაზგასმა ჩვენია — ზ. ტ.) ახალი ათონის მღვიმის აღმოჩენაში? ამ ვეებერთელა სისტემის რომელი ნაწილი აღმოაჩინა მან ჩვენი რაზმისაგან დამოუკიდებლად? რა დაწერა? რა დაასაბუთა? რა შექმნა?

როგორც ცნობილია, ახალი ათონის მღვიმე ვერტიკალური და სუბჰორიზონტული მონაკვეთებისაგან შედგება. პირველ მათგანს — ე. წ. „უძირო ორმოს“ ქმნის ჭებისა და შახტების რთული სისტემა, რომლის ჯამური სიღრმე 139 მეტრია. ვიწრო საფორთხი სიფონისებური ხვრელით იგი მღვიმის კეთილმოწყობილი სუბჰორიზონტული ნაწილის პირველ დარბაზს — „აფხაზეთს“ უკავშირდება. ის, ვინც გ. სმირის მოიერიშე ოთხეულისაგან გამორჩეულ როლს მიაწერს, არა მარტო დეზინფორმაციას ეწევა, არამედ ვერ იცნობიერებს, თუ რამდენად უხერხულ მდგომარეობაში იგდებს თავს. ასეთ შემთხვევაში უნდა დავუშვათ, რომ გ. სმირმა ჩვენამდე, მარტოდ მარტომ, მოახერხა არათუ „უძირო ორმოს“ დაპყრობა, არამედ მის სუბჰორიზონტულ ნაწილშიც შეჭრა და შემდეგ უკან დაბრუნება! 15 წლის ყმაწვილს ამის არც გამოცდილება და არც შესაძლებლობა გააჩნდა. ასეთი ცდა გ. სმირისაგან არც ყოფილა! სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, თვითონ მას არა აქვს ამის პრეტენზია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმ დროს ჩვენს ქვეყანაში სპელეოლოგია პირველ ნაბიჯებს დგამდა და კარსტული უფსკრულიდან დამოუკიდებლად ამოსვლის საჭურველი და პრაქტიკა არ არსებობდა. მაშ, პირველმა, ჩვენი რაზმისაგან დამოუკიდებლად, რა აღმოაჩინა გ. სმირმა? „უძირო ორმოს“ საწყისი 30 მეტრამდე სიღრმის ფართო პირიანი შახტი? ადგილობრივი მოსახლეობისათვის იგი ხომ უხსოვარი დროიდან არის ცნობილი! ამჟამად მავთულის ბადით შემოსაზღვრული ამ შახტის პირის სიახლოვეს ჩვენი კეთილი აფხაზი მეგობრის ხარიტონ არგუნის ოჯახი ცხოვრობს. ამ შახტში უთოკოდ მართლაც შეიძლება ჩასვლა. გ. სმირამდე და ჩვენამდე დიდი ხნით ადრე, აქ ჩაშვება უხდებოდათ ადგილობრივ მცხოვრებთ შემთხვევით გადაჩეხილი თუ ჩავარდნილი შინაური ცხოველების საშველად. მაშ, სად ჩაეშვა გ. სმირი პირველად? თუ რა იმალებოდა საწყისი შახტის მიღმა და როგორი იყო უფრო ღრმად ჩაწოლილი ჭებისა და შახტების ტოპოგრაფია, ეს არავინ იცოდა! „უძირო ორმოში“ პირველი სადაზვერვო ჩაღწევა 1961 წელს განახორციელა მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის საექსპედიციო რაზმმა 12 კაცის შემადგენლობით. მათ რიცხვში იყო გ. სმირიც. მაგრამ ჩვენს შორის პირველი, ვისაც უცნობი შახტის ბოლომდე დაზვერვა დაევალა, საექსპედიციო რაზმის წევრი არსენ ოქროჯანაშვილი იყო! მის ჩასვლას იცავდა და საგულდაგულოდ აკონტროლებდა სხვადასხვა სიღრმეზე განლაგებული ორ-სამ კაციანი ჯგუფები. 122 მეტრის სიღრმიდან თოკში ჩაბმული არსენი მაშველი რაზმის წევრებს დაემშვიდობა და მარტოდ მარტომ გააგრძელა ჩაშვება უცნობ შახტში! მალე წაგრძელებული ფორმის ჰორიზონტულფსკერიან დარბაზში აღმოჩნდა. თოკი მოიხსნა და კლდის ქიმზე გამოაბა. ბიჭებს ასმახა — დასაზვერავად მივდივარო და ნაკადის მშრალ კალაპოტს გაჰყვა. რამდენიმე ათეული მეტრით წინ რომ წაიწია, მოულოდნელად ყრუ კედელს წააწყდა. ერთი შეხედვით, „უძირო ორმო“ თითქოს აქ მთავრდებოდა! კალაპოტის დონეზე რაღაც ვიწრო ნაპრალი კი ჩანდა, მაგრამ მასში შეღწევა და გაძრომა პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა. ის იყო, უკან უნდა გამობრუნებულიყო, 1,5-2 მ სიმაღლეზე ვიწრო ხვრელი შენიშნა; არსენი მასში შეძვრა, ნიავი იგრძნობოდა; ეს უკვე კარგი ნიშანი იყო! გადაადგილება მხოლოდ ფორთხვით შეიძლებოდა. სპირალური ფორმის, უსწორმასწორო ფსკერის მქონე ხვრელში რამდენიმე მეტრით წინ რომ წაიწია, პატარა საფეხურის დაძლევის შემდეგ, ერთბაშად ვრცელ დარბაზში ამოჰყო თავი! მე მეგონა, იგონებდა შემდეგ არსენი, მღვიმიდან გარეთ, უცნობ ხეობაში გავედი და არ მესიამოვნა, წყვდიადიდან ისევ კუნაპეტ სიბნელეში რომ მოვხვდი! ერთბაშად შევჩერდი. ცაზე ვარსკვლავებს ვეძებდი, მაგრამ არა! მალე დავრწმუნდი — მიწისქვეშ ვარ, გიგანტურ დარბაზში! მშრალი კალაპოტი სადღაც სიღრმეში მიემართებოდა; ყველგან, სადაც კი თვალი მიწვდა, ვეებერთელა ლოდები ეყარა. მბჟუტავი ჯიბის ფანრის სინათლე ვერ წვდებოდა ვერც ჭერს, ვერც მოპირდაპირე კედელს! მიწისქვეშეთის ომახიანად შევძახე, ექო დიდხანს არ დაცხრა! ცნობისმოყვარეობის ჟინით შეპყრობილი იმ მხარეს გავემართე, საიდანაც ჩანჩქერის ვარდნის ხმა მესმოდა... წინ კი უსაზღვრო სივრცე წყვდიადში იკარგებოდა. ერთბაშად შევჩერდი, იმის შიშით, უკან დასაბრუნებელი გზა არ დამკარგვოდა, კვლავ იმ ხვრელისაკენ გავემართე, რომლითაც აქ შემოვიჭერი... აი ჩემო მკითხველო, პირველაღმომჩენთა ოთხეულიდან თუკი ვინმეს გამორჩეულად გამოვყოფდით, არსენ ოქროჯანაშვილი უნდა გამოგვეყო! ეს ისტორია ჩვენ ვრცლად აღვწერეთ სამეცნიერო-პოპულარულ ნაშრომებში, მიუხედავად ამისა, ჩვენდა გასაოცრად, ვიღაც-ვიღაცეებს ხელს აძლევს ამ აღმოჩენის საკუთარი ვარიანტები თხზან?! ამგვარად, არსენ ოქროჯანაშვილმა, გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელმა, რომელიც შემდეგ ტრაგიკულად დაიღუპა ასხის მასივის მღვიმეების კვლევის დროს, პირველმა გააკვლია „ბილიკი“ ვერტიკალურ სისტემაში და ვიწროხვრელით პირველივე შევიდა დარბაზ „აფხაზეთში“. იგი დღეს „არსენის ჭიშკრის“ სახელწოდებით არის ცნობილი. მღვიმის აღმოჩენაში დიდი ღვაწლის აღსანიშნავად მას, 1977 წელს ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, სავსებით დამსახურებულად სსრკ სახელმწიფო პრემია მიენიჭა! ახლა, მითხარით, ამ ამბების უშუალო მონაწილე და ერთ-ერთი ხელმძღვანელი როგორ ხასიათზე დავდგები, როცა მღვიმეში ექსკურსანტებთან ერთად ჭორების დონეზე ზოგიერთი აფხაზის მიერ შეთხზულ მღვიმის აღმოჩენის ისტორიას ისმენ! განა ეს უზნეობა არ არის? ამ ჩაშვებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ჩვენი საექსპედიციო რაზმი ა. ოქროჯანაშვილის, ბ. გერგედავას, გ. სმირის და ამ წერილის ავტორის მონაწილეობით (უფსკრულში ჩაშვების თანამიმდევრობა დაცულია) და მაშველი ჯგუფის აქტიური დახმარებით, კვლავ ჩაეშვა ამჯერად უკვე „გზაგაკვალულ“ „უძირო ორმოში“, შეაღწია მის სუბჰორიზონტულ ნაწილში და პირველად მოახდინა მღვიმის მთელი მისაწვდომი ნაწილის დათვალიერება, რასაც 18 საათი მოვანდომეთ! შემდეგ კი, თითქმის ოცი წლის განმავლობაში, ყოველწლიურად, ზოგჯერ წელიწადში რამდენჯერმე კი, აქ ეშვებოდნენ სხვადასხვა დანიშნულების ჩვენი საექსპედიციო რაზმები ჩვენს მიერვე დამუშავებული მღვიმის კვლევისა და კეთილმოწყობის პროგრამის განსახორციელებლად. განა საკმარისია, ქართველი მკვლევარების ამ თავდადებული სამუშაოებისა და მოპოვებული სოლიდური შედეგების მიჩქმალვა? 1986 წელს სოხუმში გამოცემულ ვ. ვოუბას ბუკლეტში — „ბუნების მიწისქვეშა სასწაული“, კრიტიკაც კი არ არის დაძრული ქართველი მკვლევარების მიერ აქ ჩატარებულ მრავალწლიან სამუშაოებზე! ამიტომ ნუ გაგიკვირდება, პატივცემულო მკითხველო, მღვიმის პირველაღმომჩენებსა და მკვლევარებს, პირველ წლებში სიცოცხლის რისკის ფასად რომ ვახერხებდით უფსკრულში სამუშაოების წარმოებას, გახედვაც კი არ გვინდა ახალი ათონისაკენ. ასე გადაგვიხადა მადლობა ბ-ნმა ვალერი ვოუბამ, რომელსაც ჩვენივე მხარდაჭერით — მოდით, ახლა მაინც ითქვას სათქმელი — არცთუ დამსახურებულად, სსრკ სახელმწიფო პრემია მიანიჭეს. არადა, თვითონ ყველაზე კარგად იცის, თუ რა წვლილი მიუძღვის მას ახალი ათონის მღვიმის კვლევისა და ათვისების მეცნიერული საფუძვლების შემუშავებაში. სიძულვილი ყოველივე ქართულისადმი — აი, რით გადაგვიხადა ამაგი. სწორედ მისი თაოსნობით, მღვიმის ადმინისტრაციული კორპუსის ფასადიდან ჩამოხსნეს ქართულ ენაზე შესრულებული აბრა — „ახალი ათონის გამოქვაბული“, ხოლო ადმინისტრაციული კორპუსის მისადგომზე გაქრა ოთხენოვანი (აფხაზური, ქართული, რუსული, ინგლისური) მემორიალური დაფები, რომლებიც გვაუწყებდნენ მღვიმის პირველაღმომჩენებისა და იმ ორგანიზაციების ვინაობას, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ ძეგლის კვლევასა და კეთილმოწყობაში. ჩვენთვის არანაკლებ შეურაცხმყოფელია მღვიმის დარბაზების ქართული სახელწოდებების თვითნებური შეცვლა. ვ. ვოუბას და მის კამპანიას არ მოეწონათ ყველა ქართველისათვის ძვირფასი სახელი — „თბილისი“ და მას „ახალგაზრდული“ უწოდეს. არადა, მღვიმის ამ ბოლო დარბაზს მნახველები რ. ლაღიძის პოპულარული სიმღერის „თბილისო“-ს ჰანგების თანხლებით ტოვებდნენ, ეფექტი საოცარი იყო! ასეთივე ბედი ეწია „იბერიას“, „ქართველ სპელეოლოგთა სახელობის“ დარბაზებს. არაფერი ქართული! განა ეს საკადრისი საქციელია?! ეს სახელწოდებები უნდა აღდგეს! ვ. ვოუბამ არაფრად ჩააგდო ჩვენს მიერ არაერთგზის შეთავაზებული რჩევა იმის შესახებ, რომ ძეგლის დამთვალიერებელ ქართულ ჯგუფებთან საუბარი ქართულ ენაზე წარემართათ, რა არის ამ მოთხოვნაში მიუღებელი?! ჩემს მიერ ქართულ ენაზე სპეციალურად შედგენილი ბუკლეტის ტექსტი პირადად გადავეცი ბ-ნ ვ. ვოუბას. ახალ ათონში ქართველი კაციც გამოვძებნე, რომელიც მოემსახურებოდა ამ საქმეს, მაგრამ არა! არაფერი ქართული! რა დავარქვათ ყოველივე ამას?

განვლილმა წლებმა ცალსახად დაადასტურა: ახალი ათონის მღვიმის დირექცია ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე, თავი ვერ გაართვა მის წინაშე მდგომ პასუხსაგებ ამოცანებს, ჩაფუშა მღვიმესთან სამეცნიერო სტაციონარის მშენებლობა, განადგურებამდე მიიყვანა ბუნების უნიკალური ძეგლი. ბოლოს და ბოლოს, სათქმელი, უნდა ითქვას, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას.

სხვა გაზეთებიდან

ИЗВЕСТИЯ

№ 258

სამხრეთ ოსეთს განზრახული აქვს მიაღწიოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლას

როგორც „ინტერფაქსის“ სააგენტო იუწყება, სამხრეთ ოსეთი რუსეთის დეპუტატთა მომავალ ყრილობას მიმართავს თხოვნით შეიყვანოს იგი რუსეთის შემადგენლობაში. ამ არზით აპირებს მოსკოვში ჩასვლას სამხრეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარე ტორეზ კულუმბეგოვი. მისი თქმით, თუ თხოვნა არ დააკმაყოფილეს, რესპუბლიკას განზრახული აქვს ლეგალურ თვითგამორკვევისათვის საქართველოს შემადგენლობის ფარგლებს გარეთ.

ვერ იტყვი, რომ ეს ინფორმაცია სენსაციური იყო! სამხრეთ ოსეთს უკვე გამოუთქვამს სურვილი პოვოს მშვიდობა და აყვავება, როცა ამ რესპუბლიკაში სისხლიანი ამბები დატრიალდა, და ამ სურვილს კეთილმოსურნედ გამოეხმაურა რუსეთის ზოგიერთი დეპუტატი, რომლებმაც სწორედ ასე დააყენეს საკითხი უზენაესი საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე.

რუსეთის პარლამენტართა გარკვეული ნაწილის მზადყოფნა სტუმართმოყვრულად გააფართოონ ფედერაციის სამხრეთი საზღვრები, როგორც, ახლა ირკვევა, არ დაუვიწყნიათ მათ სამხრეთელ კოლეგებს. და აი, — მეორე ცდა. ცდა, რომელსაც აქეზებს რუსეთის პარლამენტის მწვავე პოზიცია საქართველოს ხელმძღვანელობის მიმართ. უდავოა, სამხრეთ ოსეთის ლიდერებმა თავიანთ ახალ ინიციატივაში უდავოდ გაითვალისწინეს რუსეთის უზენაესი საბჭოს სექტემბრის რეკომენდაციები ელცინისადმი არ დაუდოს საქართველოს ეკონომიკური შეთანხმებანი, გამოიყვანოს აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში რუსეთის ჯარების კონტინგენტი, და, საერთოდ, მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობის საგრძნობი გაცივება.

მიუხედავად იმისა, თუ როგორ იქნება რუსეთის პარლამენტის პასუხი სამხრეთ ოსეთის უზენაესი საბჭოს თხოვნაზე, თვით მისი არსებობის ფაქტი — დამატებითი ნავთია ცეცხლზე, რომელიც კავკასიაშია მოდებული. დასახულ ნაბიჯს შეიძლება უაღრესად საშიში შედეგები მოჰყვეს როგორც საქართველოსათვის, ისე რუსეთისათვის. საქართველოსთვის — ეს იქნება აფხაზური სეპარატიზმის გამრავლება სამხრეთ ოსურზე, რაც ფართო მასშტაბის სამოქალაქო ომს მოასწავებს. რუსეთისთვის — საბოლოო და უსაშველო ჩათრევა კავკასიის კონფრონტაციაში.

და, ბოლოს, ამას მოჰყვება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის უაღრესად სერიოზული გამწვავება. თუ რუსეთის პარლამენტში იმძლავრებს ხმები სამხრეთ ოსეთის თხოვნის მხარდასაჭერად, შევარდნაძის კიდევ უფრო მეტად განუმტკიცდება უკვე გამოთქმული რწმენა რუსეთში საქართველოს წინააღმდეგ მასშტაბური შეთქმულების არსებობის შესახებ.

ხოლო თუ მოკლედ ვიტყვით, წარმოიშვა კავკასიის რეგიონში კიდევ ერთი ომის საფრთხე.

თუმცა, „ინტერფაქსის“ მიერ გავრცელებული ცნობა ჯერჯერობით მხოლოდ სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობის განზრახვას გამოხატავს. საკითხავია, მოჰყვება ამ განზრახვას რეალური მოქმედება?

ვალერი ვიჟუტოვიჩი.

დაიდო აფხაზეთში დროებითი დაზავების შეთანხმება

როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, გუდაუთის მოლაპარაკებაზე 20-29 ნოემბერს სოხუმის მახლობლად ცეცხლის დროებითი შეწყვეტის შეთანხმებას მოაწერეს ხელი საქართველოს აფხაზეთის საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა გ. ხაინდრავამ, აფხაზეთის პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ს. შამბამ და რუსმა გენერალ-მაიორმა ვ. სოროკინმა. ცეცხლი შეწყდება იმისთვის, რომ გაიყვანონ რუსეთის სამხედრო მოსამსახურენი, კერძოდ რუსეთის ჯარის 903-ე ცალკეული რადიოტექნიკური ცენტრის და 51-ე სარკინიგზო დეპოს მოსამსახურენი.

მაგრამ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პრესცენტრმა 19 ნოემბერს გაავრცელა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ „მკვეთრად გააქტიურდა საქართველოს რესპუბლიკის დესტრუქციული ძალების საქმიანობა, რაც მიზნად ისახავს რუსეთის შეიარაღებული ძალების ჩაბმას რესპუბლიკის ხელისუფლებასთან მიმდინარე კონფლიქტში“.

მე ვთხოვე რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს გენერალ-პოლკოვნიკ გ. კონდრატიევს განემარტა როგორც თვით განცხადება, ისე გუდაუთაში მიღწეული შეთანხმება.

გ. კონდრატიევმა უარყო ბრალდება, რომ რუსეთი მონაწილეობს ქართველ-აფხაზთა კონფლიქტში აფხაზეთის მხარეზე, და თქვა: „პირადად მე არაერთგზის განმიცხადებია, რომ რუსეთის არმიის არც ერთ სამხედრო მოსამსახურეს არ მიუღია მონაწილეობა მიმდინარე კონფლიქტში“. მან ისიც დასძინა, რომ ეჭვი არ ეპარება, რომ საქართველოს ხელმძღვანელობის მაღალი თანამდებობის პირნი — ჯ. იოსელიანი და თ. კიტოვანი მონაწილეობენ „ყოველივე იმაში, რასაც სჩადიან საქართველოში და აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების წინააღმდეგ“.

რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ სკეპტიკური აზრი გამოთქვა ახლანდელ დაზავებაზეც: „საქართველოს მხარე ყოველთვის ამჯობინებდა დაზავებას, როდესაც ძალა ელეოდა. ამას მოსდევდა ჯარების გადაჯგუფება და შემდგომი შეტევა.

ალექსანდრა ლუგოვსკაია.

თითო აბზაცით

● **ერთ-ერთი** უკანასკნელი გადაწყვეტილება, რომელიც ლიტვის გადამდგარმა მთავრობამ მიიღო, ის გახლავთ, რომ გარდაქმნას მოსკოვში რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობა ლიტვის საელჩოდ რუსეთის ფედერაციაში.

● **ტალინში** ესტონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მოიწვიოს 28 ნოემბერს პარტიის XII ყრილობა, აპირებენ პარტიის ახალი საპროგრამო დოკუმენტის და მისი სახელწოდების შეცვლას. ფიქრობენ, რომ პარტიას უწოდებენ ესტონეთის შრომის დემოკრატიულ პარტიას.

● **ადამიანის** უფლებათა კომისიის სპეციალური მომხსენებლის თადეუშ მაზოვეცკის მოხსენებაში, რომელიც გაეროს გენერალურ ასამბლეას და უშიშროების საბჭოს განსახილველად წარედგინა — აღნიშნულია, რომ ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე გრძელდება „ეთნიკური წმენდა“.

● **გაერთიანებული** ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია „კუბის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შემოღებული ეკონომიკური, სავაჭრო და ფინანსური ბლოკადის შეწყვეტის საჭიროების შესახებ“. კუბის მიერ წარმოდგენილ პროექტს ხმა მისცა 58 სახელმწიფომ, 71-მა თავი შეიკავა, 3 წინააღმდეგი იყო (აშშ, ისრაელი, რუმინეთი). რუსეთის ფედერაციამ თავი შეიკავა.



დღე მწუხარებისა

მტრის ტყვიამ განგმირა მკერდი ირაკლი ქაბუას ძე ამირეჯიბისა, განგმირა, ესე იგი, გმირად აქცია იგი...

ეს გახლდათ ბიდი რაინდი ქართველისა, ხათნოებით სავსე ქართველი დედისა და მამულისათვის წამებული დიდი მამის შვილისა.

ქაბუა ამირეჯიბს, პარლამენტის წევრები დაბადების დღეს ულოცავდნენ, ხოლო სწორედ იმ დროს, „მხედრიონის“ ბიჭები სიცოცხლეს სწირავდნენ, რათა ირაკლი ამირეჯიბის ცხედარი მაინც გამოეხსნათ გააფთრებული გადამთიელის კლანჭებიდან...

წუხს მთელი საქართველო, წუხს ადამიანების საქართველო, მაგრამ თურმე ზეიმობს მხეცების საქართველო...

რეკავს ტელეფონი, ჩაწყნარებული ხმა მესმის ქალისა:— ბატონი ჯანსუღი ბრძანდებით?

— დიახ, ვუპასუხებ მე...

„ბატონო ჯანსუღ, როგორც ქაბუა ამირეჯიბს მივულოცეთ დაბადების დღე, მალე თქვენთვისაც ისევე მოგვილოცავს“, მითხრა, სრულიად აუღელვებელმა.

ჯერ შევწუხდი, შემდეგ, ჩავფიქრდი, ნუთუ, ასეთი დიდებიც არსებობენ? ნუთუ ასე შეიძლება გაბოროტდეს ადამიანი? ნუთუ, ამ „ქალბატონსაც“ შვილი ჰყავს?

ღმერთო ჩემო, გადამთიელი რას დაგვაკლებდა, რომ ეს უცნობი და სატანისეული დამპალი თესლი არ ღვიოდეს ქართულ მიწაზე?

ძმაო ქაბუა, ქაბუა ამირეჯიბო, ცა ჩამოინგრა...

ამ უდიდესი მწუხარების ჟამს, შენი დაბადების დღეს, გილოცავ ირაკლი ამირეჯიბის გმირად დაბადებას.

ჩემს შვილს არა ხვდა წილად ბედი შენი შვილისა, — დაცემულიყო მამულისათვის, მაგრამ ღმერთმა იცოდეს, ჩვენ მზადა ვართ, მეც და ჩემი შვილებიც, მეც და ჩემი შვილიშვილიც, ვიაროთ გზით, რომელსაც ირაკლი ამირეჯიბისა და მისი საძმოს გზა ჰქვია, გზა ყველა ღირსეული ქრისტიანისა.

დავრწმუნდი, არის მშვენიერება სიკვდილშიც!

საქართველო გადარჩება! დიდება შენ, ირაკლი ამირეჯიბო! „მიუხვალ მამაპაპათა“.

ჯანსუღ ჩარკვიანი,
1992 წელი 20 ნოემბერი.

ტრადიციად მკვიდრდება

შეხვედრები აჭარაში

ჯერ კიდევ ზაფხულში საქართველოს მწერალთა კავშირისა და აჭარის ხელმძღვანელობის მოლაპარაკების შედეგად, გადაწყდა აჭარაში ყოველწლიურად გაიმართოს ლიტერატურული შეხვედრები. ამასთან დაკავშირებით, აჭარის მინისტრთა საბჭომ შესაბამისი დადგენილებაც მიიღო.

19 ნოემბერს, ბათუმში ჩავიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე, რევაზ ჯაფარიძე, ტარიელ ჭანტურია, მიხეილ ქვლივიძე, შადიმან შამანაძე და ჯემალ ჩახავა. შეხვედრები ძალზე ნაყოფიერი გამოდგა. მწერლები ესტუმრნენ ქობულეთის რაიონს, „ჰორიზონტის“ კლუბში შეხვდნენ ქობულეთის მშრომელებსა და აფხაზეთიდან ჩამოსულ ლტოლვილებს, დიდ ლიტერატურულ საღამოზე მწერლებმა პასუხი გასცეს მსმენელთა მრავალ შეკითხვას.

მეორე დღეს, სტუმრები ქედის რაიონს ეწვივნენ, რომლის კულტურის სასახლეში გაიმართა ძალზე გულთბილი და ამაღელვებელი შეხვედრა რაიონის მშრომელებთან.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მესამე დღე. მწერლები ესტუმრნენ ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებლის სტუდენტებს, შეხვდნენ პირველკურსელებს, მათ აღმზრდელებსა და მეზღვაურებს.

ლიტერატურული ნაწილის შემდეგ გულითადი საუბარი გაიმართა სტუმარ-მასპინძელს შორის. სასწავლებლის კოლეგიამ და საზღვაო სანაოსნოს სამმართველოს ხელმძღვანელებმა ილაპარაკეს იმ გაჭირვებაზე, რომლის წინაშეც აღმოჩნდნენ მთელი სისტემის ქართულ ენაზე გადაყვანასთან დაკავშირებით. მწერალთა კავშირმა გადაწყვიტა, დაეხმაროს საზღვაო სანაოსნოს და სასწავლებელს ქართული საზღვაო ტერმინოლოგიის შექმნა-დადგენის საქმეში. ამ მამულიშვილური საქმის შესრულება იკისრა თვითონ მწერალთა კავშირმა და მისმა მთარგმნელობითმა ცენტრმა „ხომლმა“.

გადაწყდა, ქართველი მეზღვაურების ცხოვრების შესწავლის მიზნით, ქართველი მწერლები თან გაჰყვნენ უცხოეთში სატვირთო თუ ოკეანეში თევზის საჭერად გასულ საქართველოს სანაოსნოს გემებს. პირველი მივლინება უკვე გაუფორმდა პოეტ მიხეილ ქვლივიძეს.

მწერალთა კავშირმა იკისრა აგრეთვე ქართველი მწერლებისა და ქართულ ენაზე თარგმნილი მსოფლიოს ლიტერატურის კლასიკოსების წიგნებით საზღვაო სასწავლებელს შეუქმნას მდიდარი ბიბლიოთეკა.

იმავე დღეს, მეტად ამაღელვებლად ჩაიარა დიდმა ლიტერატურულმა შეხვედრამ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრის ხალხით გაჭედილ შენობაში, სადაც სტუმრებთან ერთად (როგორც სხვა შეხვედრებზე) გამოვიდნენ პოეტები ფრიდონ ხალვაში, ჯემალ ჯაყელი და ამირან ხაბაზი.

აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ბატონ ასლან აბაშიძის თაოსნობით, მოეწყო საქმიანი შეხვედრა თურქეთის კონსულთან. შეხვედრას ერთი მიზანი ჰქონდა — დაგეგმილიყო ქართველი და თურქი მწერლების მეგობრული და შემოქმედებითი შეხვედრები. როგორც გადაწყდა, პირველი შეხვედრა მოეწყობა ბათუმში, მეორე კი სტამბულში. შემდეგში შეხვედრები (უკვე სხვა ქალაქებში) ტრადიციად დამკვიდრდება. მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეხვედრების ორგანიზაციას ყოველმხრივ კისრულობს აჭარის ხელმძღვანელობა.

ზაალ ბოტკოველი.

გივი მაზმიშვილი:

მე შემიძლია შვება მოგგვაროთ!

გამოჩენილმა ქართველმა ფსიქოთერაპევტმა, ცნობილმა სიტყვით მკურნალმა და ფსიქოლოგმა ბატონმა გივი მაზმიშვილმა გადაწყვიტა ქველმოქმედების მიზნით, საქართველოს მოსახლეობას უფასო გამაჯანსაღებელ-ფსიქოლოგიური სეანსები შესთავაზოს.

მალამოდ ქცეულ მის სიტყვაზე ბევრი თქმულა და დაწერილა, ამიტომაც, ამჯერად, მართალია, რიტორიკული, მაგრამ მაინც ერთი შეკითხვით მივმართეთ: — რამ გადააწყვეტინა უფასო გამაჯანსაღებელი სეანსების ჩატარება.

— რაც დღეს საქართველოში ტრიალებს, უბედურებაა, ერის უბედურება. როგორც ყველა ქართველი, მეც შეძრწუნებული ვარ ამდენი აღელვებული, განერვიულებული, გამწარებული და გადაგვარებული ადამიანის შემყურე.

უკიდურესად დაძაბული სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის გამო, რას და რატომ ჩავდივართ, აღარც კი ვიცით. ადამიანი რომ ნორმალურად იქცეოდეს, თავის თავსა და მოთხოვნილებებს უნდა ჩაუკვირდეს. რა უნდა მას? რა ამოძრავებს? მოთხოვნილებები და სურვილები კი სხვადასხვაგვარია, აქედან გამომდინარე, — ქცევებიც, და, ბუნებრივია, შედეგებიც შესაბამისი, ამიტომ, მეჩვენება, ჩვენი ქვეყანა დღეს უმძიმეს მდგომარეობაშია.

თითქოს არავისთვის არაფერი დაგვიშავებია, დანაშაული არ ჩაგვიდენია, თავს კი ვიმართლებთ და ვიცავთ, რატომ?

პოლიტიკოსი არასოდეს ვყოფილვარ და არც ახლა გამოვიდებ თავს, მაგრამ დღეს, როცა მოსახლეობის უმრავლესობა ღრმა ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშაა, რწმენა დაუკარგავს და უიმედობას შეუპყრია, მინდა გამოვიყენო ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმი — შევაშველო, მხარში ამოვუდგე მათ. რაც შეიძლება მალე, გამოვიყვანო დეპრესიული მდგომარეობიდან. ამიტომაც უფასო გამაჯანსაღებელ სეანსებს ჩავატარებ ჭადრაკის სასახლეში 1 დეკემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით.

ქველმოქმედება — მალამოდ

ჩემი სეანსებით მკურნალობა მიზანშეწონილია ნევროზების სხვადასხვა ფორმების დროს, ცალკეული ნევროზული გამოვლინებების: შიშის, აკვიატებული აზრისა და მოქმედების, ასთენიის, დეპრესიის, უძილობის, ადვილი აგზნებადობის, შფოთვის, აფორიაქების, უნებლიე მოძრაობების, უნებლიე შარდვის, ვეგეტოდისტონიის, ჰუბერტატული და კლიმაქსური პერიოდების, სექსუალური დისჰარმონიების და სხვა მრავალი მდგომარეობის დროს. ეფექტურია აგრეთვე, ტკივილის ფენომენის, ჭარბი წონის, თამბაქოს წევისა და სხვა მავნე ჩვევების მოსახსნელად.

ფსიქოთერაპიული-ფსიქოლოგიური სეანსები ნაჩვენებია ფსიქოსომატური და ნეიროგენული წარმოშობის დაავადებების დროს: ბრონქული ასთმა, წყლულოვანი დაავადებები, არტერიული ჰიპერტონია-ჰიპოტონიები, სხვადასხვა სისხლძარღვოვანი დაავადებები, მსუბუქი ფორმის დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლის ზოგიერთი პათოლოგიები და სხვა.

არ შეიძლება იმათთვის, ვინც დაავადებულია ავთვისებიანი სიმსივნეებით, მწვავე ინფექციებით, ეპილეფსიითა და არიან სულით ავადმყოფნი. ამიტომაც, სეანსებზე დასაშვებად ავადმყოფები გაივლიან ექიმ-სპეციალისტების მიერ აუცილებელ შერჩევა-შემოწმებას, 26 ნოემბრის 10 საათიდან 14 საათამდე, ფუნქციური ნევროლოგიის რესპუბლიკური ცენტრის №1 პოლიკლინიკაში. მისამართი: მე-4 (ყოფილი მე-8) საავადმყოფო, მეტრო ღრმაღელესთან, ნაძალადევში, გუდამაყრის, ქ. №4-ში, მე-8 საავადმყოფოს ადმინისტრაციული კორპუსი. მე-2 სართული.

მოგმართავთ საქართველოს მოსახლეობას, მათ, ვისაც არსებული მძიმე ჟამის გამო, სული დაგძიმებიათ, გჭირთ სიძნელეების დაძლევა და სასოწარკვეთაში ჩავარდნილხართ, ყველას, ვისაც ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებები გაწუხებთ, მობრძანდით ჭადრაკის სასახლეში 1 დეკემბრიდან, და, მერწმუნეთ, მე შემიძლია შვება მოგგვაროთ!

ესაუბრა
რუსუდან ლორთქიფანიძე.

ოთარ ხუციშვილი

მეამაყება, რომ ოქროს ვაგროვებ

ამჯერად ბატონი ვანო ქარაქწონაშვილი საკუთარი ინიციატივით გვეწვია რედაქციაში. ბიზნესმენს თავდაჯერებული, კმაყოფილი კაცის იერი ჰქონდა.

— ბატონო ვანო, უკანასკნელ ხანს რაღაც სარბიელიდან გაუჩინარდით.

— დედაქალაქიდან გასული ვიყავი და ეტყობა ამიტომ მომინაკლისა საზოგადოებამ. რა დაგიმალოთ, კაკლიანში საუნივერსიტეტო საქმემ შემიყოლია და დროით ვეღარ მოვბრუნდი. თუმცა, რაც მე იქ მოვიმოღვაწე, დიდად მამულიშვილური და დასაფასებელია, სხვათა შორის, იმ კერძო უმაღლესი სასწავლებლებიდან, რომლებიც სტუდენტებს უცხოელი ლექტორების ჩამოყვანას შეჰპირდნენ, სიტყვა მხოლოდ მე შევასრულე. ჩემს კოლეჯში (ასე ვეალერსები ხოლმე) კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორები კითხულობენ ლექციებს.

— ჩვენ კი თქვენი არყოფნის პერიოდში ცხოვრება კიდევ უფრო დაგვიმძიმდა. სხვას აღარ ვჩივით, პური ერთბაშად შვიდჯერ და მეტად გაძვირდა. ნუთუ თქვენც იმ აზრისა ბრძანდებით, რომ ამ საქმეს სხვაგვარად არაფერი მოევლებოდა?

— როგორ არ მოევლებოდა, მაგრამ ვინ დამიჯერა?! მთავრობას რომ პური (და არა მარტო პური) თავის დროზე გაეძვირებინა, არც თვითონ ჩავარდებოდა ამ დღეში და არც ხალხი. ერთხელაც ვთქვი და კიდევ მინდა გავიმეორო —ფასების აღვირით დაჭერა არ შეიძლება, იგი ერთბაშად უნდა მიუშვა. ასე ვქენი მე, მაგალითად, ჩემს კომერციულ მაღაზიაში და კაი გვარიანი მოგებაშიც ჩავვარდი.

— გამოდის, რომ მთავრობა ლიბერალურადაც კი მოიქცა?

— სწორედაც ასეა, მაგრამ ეს არ გახლავთ ხსნის გზა. ალბათ, უკეთესი იქნება, მთავრობა საერთოდ განზე გაუდგეს ფასებს. თუ გვინდა, რომ საბაზრო ეკონომიკამ ილაღოს, ბიზნესს სარბიელი უნდა მივცეთ. ჩემი აზრით, ფურნე-თონეები სულაც კერძო უნდა იყოს. მეპურემ უნდა იანგარიშოს, ფქვილი რამდენი დაუჯდა, ტრანსპორტირება და გამოცხობა — რამდენი, ამის შემდეგ თავის გამორჩენისაც წაუმატოს და პურს ფასი ისე დაადოს.

— მერე, ასეთ პურს ვინ იყიდის, სადა აქვს ხალხს ამდენი ფული?

— საქმეც ეგ არის, რომ არა აქვს, უნდა იშოვოს. ბიზნესი მარტო მეპურემ კი არა, ხალხმაც უნდა აკეთოს. თუ ყველა შრომისუნარიანი მოგების სურვილით გაიმსჭვალება (ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში ეს თვისება ჩამკვდარი იყო), მაშინ ფულის პრობლემაც არ გვექნება. ასე რომ, ბაზარმა თავისი საქმე უნდა აკეთოს, ხალხმა კიდევ თავისი. მე თუ მკითხავთ, სულაც არ არის ეთიკური მეპურემ ხალხს მორალი უკითხოს: შარშან ამდენ პურს ვაცხობდით, წლეულს ამდენს (ეს მოსახლეობის უპუროდ დაპურების ნაცადი მეთოდია), რა გვემართება, რა გველეშაპი ჩაგვიძვრა მუცელშიო. მისი საქმე მარტივია — მაღაზიაში საკმარისი ოდენობის პური დააწყოს და ფასი იმდენი მოითხოვოს, რამდენიც ღირს.

— როგორ ფიქრობთ, მაშინ სხვა რესპუბლიკებში პურს აღარ გაზიდავენ?

— მერწმუნეთ, ეს პრობლემა მთლიანად მოიხსნება. და თუ ვინმე მაინც თავისას ქართულ პურს ამჯობინებს, ამით რა დაგვაკლდება? პირიქით, რაც მეტი პური გაიყიდება, მით მეტი მოგება დაგვრჩება.

— ახლა რომ პურის ქარხნებს აბრალებენ — ფქვილს ყიდით და გამომცხვარ პურად აფორმებთ, ეს პრობლემაც მოიხსნება?

— რა თქმა უნდა. კაცს თუ თავის წილი მოგება დაუყვედრებლივ ექნება, ფულის გამრუდებული გზით შოვნის სურვილიც აღარ გაუჩნდება. დღეს კი, როცა პური 30 მანეთი გახდა, ხოლო ფქვილის ფასმა ბაზარზე 70 მანეთამდე აიწია, პრობლემა კვლავ გადაუჭრელი დარჩა. გამოდის, რომ ხვალ და ზეგ მეპურე ისევ ითვალთმაქცებს, სახელმწიფოს ფასები ისევ „დასარეგულირებელი“ გახდება, რიგებიც შეთხელების მაგივრად გაიზრდება (თუ უკვე გაზრდილი არ არის). თუმცა ისიც არ იქნება სწორი, რიგს მარტო უარყოფითი იარლიყი მივაწებოთ. ცხადია, იგი ერთგვარ დადებით როლსაც ასრულებს — ხალხს ფასების ზრდისთვის ფსიქოლოგიურად ამზადებს.

ისეთი ხუმრობისა რა ვთქვი...

— ბატონო ვანო, პურის საკითხში ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ იმაზე რაღას იტყვით, მეზობელ აზერბაიჯანში ლიტრი ბენზინი 8 მანეთი რომ ღირს, ჩვენთან კი მასზე თხუთმეტჯერ მეტი?

— ამაშიც ვერაფერს ვხედავ საკვირველს. საქმე ის გახლავთ, რომ აზერბაიჯანელები ბენზინის მწარმოებლები არიან, ჩვენ კი მხოლოდ მომხმარებლები. აი, ჩვენც რომ ნავთობს მიწაში ვეძიებდეთ და არა მიწისზედა მილებში (ზოგი მას ხვრეტავს და ისე მოიპოვებს), ბენზინი აქაც შედარებით იაფი ეღირებოდა. მე პირადად, როგორც ბიზნესმენი, პარტიის გზას არავის ვურჩევდი. ამას ის სჯობს, ბენზინის ყიდვა-გაყიდვას მიჰყო ხელი და დაუყვედრებელი ფული აკეთო. სხვათა შორის, ბევრი ჩემი კოლეგა მოღვაწეობს ამ სფეროში და არცთუ უკმაყოფილოა არჩევანით. ეგ კი არა, იმასაც ვფიქრობ ხოლმე, ხომ არ მოვტყუვდი, საასპარეზოდ ბენზინი რომ არ ავირჩიე?

— ბოდიშს ვიხდი, რომ გაწყვეტინებთ, მაგრამ რადგან მწარმოებელი ახსენეთ, იქნებ ქათმის მაგალითიც გავიხსენოთ? მართალია. ის თავისი მასშტაბებით ბენზინის მწარმოებელს ვერ შეედრება, მაგრამ მაინც ხომ მწარმოებელია და კვერცხი ასე რატომ გაუძვირდა?

— საკვები გაუძვირდა და იმიტომ. თქვენ გგონიათ, რაკი ქათამია, იმდენს ვერ ხვდება, საკვები რამდენი უჯდება და კვერცხის დადება კიდევ რამდენი? რას იზამ, დღეს აღარავინ ტყუვდება. როგორც ჩანს, ქათამიც საბაზრო ეკონომიკაზე გადაეწყო.

— მაპატიეთ, ბატონო ვანო, ერთბაშად იმდენი კითხვა მოგაყარეთ, რომ ვეღარც კი გკითხეთ, რედაქციაში რა მიზნით მობრძანდით?

— მიზანი, რა თქმა უნდა, მქონდა. მინდოდა მკითხველისთვის შემეტყობინებინა, რომ გვარი ერთხელ კიდევ გამოვიცვალე — ოქროწონაშვილი გავხდი. ეტყობა ასეც უნდა მოვქცეულიყავი. დღევანდელი ინფლაციის პირობებში კარაქი და ერბო ქონების საწყაოდ აღარ გამოდგება, აი, ოქრო კი სწორედ ის არის, რომელიც არც ერთ საუკუნეში წონას არ კარგავს. ჰოდა, რა გასაკვირია, თუ მეც ოქროს დაგროვება დავიწყე და გვარიც შესაფერისი დავირქვი?

— არც მიკვირს. უბრალოდ ის მაოცებს, ცხოვრება როგორი სისწრაფით იცვლება. აგერ გუშინწინ, კომუნისტების მეფობისას, აბა, რომელი ჭკუათმყოფელი იტყოდა ოქროს ვაგროვებო (თუმცა ბევრი მართლაც აგროვებდა). მახსოვს ერთხელ აეროპორტში ვიღაც უცნობმა, რომელმაც მილიციელი დალანდა, ჩემოდანი დააგდო და მიმალვას შეეცადა. იმ კაცს გამოეკიდნენ, ჩემოდანი აძლიეს, მაგრამ თავი გადაიკლა— ჩემი არ არის და ვერ ავიღებო. დაინტერესდნენ და გახსნეს. ოქროთი აღმოჩნდა სავსე.

— ყველაფერი გასაგებია. ის უცნობი სპეკულიანტი იყო და დაჭერის შეეშინდა. საწყალი, როგორ ჰყავდა დაშინებული მილიცია. სამწუხაროა, რომ ზოგი დროებას ჩამორჩა და მეც, რაკი საქონელს ვყიდულობ და შემდეგ ზედმეტად ვყიდი, სპეკულიანტად მთვლის (ამის თაობაზე თქვენს გაზეთშიც მაკრიტიკებდნენ). არა, ბატონებო, მე სპეკულიანტი კი არა, ბიზნესმენი გახლავართ, გამდიდრება სოციალიზმის დროს ითვლებოდა დანაშაულად, თორემ დღეს იგი ღირსების საქმედ არის მიჩნეული. და მეც, ბუნებრივია კი არ მეშინია ან მრცხვენია, პირიქით, მეამაყება კიდეც, რომ ოქროს ვაგროვებ. იგი კანონიერი გზით მაქვს შეძენილი და მას აეროპორტში ვეღარავინ გამაგდებინებს.

ექსპრეს-ინფორმაცია

აი, ხელფასი

გერმანია, იტალია, პოლონეთი, ბულგარეთი, კუბა, მონღოლეთი — აი ის პირველი მისამართები, სადაც გაგზავნა თავისი პროდუქცია — ლითონდასამუშავებელი ჩარხები— ახალმა ფირმამ „დიამ“.

ფირმის ყველა უბანი იჯარით არის აღებული, ჩარხების გაყიდვის შედეგად მიღებული ვალუტა ხმარდება ახალი მოწყობილობის შეძენას, წარმოების გაფართოება-რეკონსტრუქციას, ძირითადად — კოლექტივის სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ახლა ხელფასი ხუთ-შვიდჯერ მეტია, ვიდრე იჯარაზე გადასვლამდე.

მიიღეს რა მხედველობაში...

ქართული ენათმეცნიერების ისტორიის ახლახან დაარსებული საზოგადოების პრეზიდენტმა პროფესორმა ალექსანდრე ფიცხიშვილმა კემბრიჯიდან ბარათი მიიღო. ქართული ენათმეცნიერების პრობლემების კვლევის — ჰენრი სვიტის საზოგადოების პრეზიდენტი ქალბატონი ვივიენ ლოო, იტყობინება, რომ მისი საზოგადოების აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე განიხილეს ქართული ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების გაწევრიანების საკითხი. „ყველა დამსწრე, — წერს ქალბატონი ვივიენ ლოო, —მიესალმა საქართველოში ანალოგიური საზოგადოების დაარსების ცნობას და გამოითქვა თანხმობა ჰენრი სვიტის საზოგადოების წევრად მისი მიღების თაობაზე. ვიღებთ რა მხედველობაში თქვენს სიძნელეებს ვალუტასთან დაკავშირებით, გადაწყდა, რომ არ გადაგახდევინოთ საწევრო“.

სტუმრებს ვერსად მივიღებთ

აფხაზეთიდან ლტოლვილებს სასტუმრო „ივერიის“ 130 ნომერი უკავიათ. თითოეულ ნომერში კვლავ ექვსი-რვა ადამიანი ცხოვრობს, არც ერთი ნომერი აქ თავისუფალი არ არის. რაც შეეხება ლტოლვილებს სამაჩაბლოდან, „ივერიაში“ მხოლოდ ოთხი ოჯახი ცხოვრობს.

სასტუმრო „აჭარაში“ უკვე მესამე წელია ცხოვრობენ ცხინვალელი ლტოლვილები. ასევე დეკემბერ-იანვრის ტრაგიკული მოვლენების შედეგად დაზარალებული მთაწმინდის რაიონის მოსახლეობა. სასტუმრო „კოლხეთში“ მხოლოდ სამაჩაბლოელი ლტოლვილები 270 სული იმყოფება, მათ შორის 55 ბავშვია. 180 ადგილიდან ლტოლვილებს დაკავებული აქვთ 100-ზე მეტი ადგილი. 700-ზე მეტი ადამიანი სასტუმროს რესტორანში იკვებება. მეორე წელია, სასტუმრო „აფხაზეთში“ 610 სამაჩაბლოელი ლტოლვილი ცხოვრობს. მათ აქ უფასოდ დღეში თითო პური ეძლევათ.

რასაცა გასცემ...

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ვეტერანების სამმართველომ და მასთან არსებულმა ასოციაცია „იმერეთმა“ ერთი მილიონი მანეთი გადარიცხეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფონდში.

ამ ორგანიზაციებისაგან, რომელსაც სათავეში უდგას პოლკოვნიკი ვაჟა ბიწაძე, საქველმოქმედო საქმიანობა ტრადიციად იქცა. ამას წინათ 100 ათასი მანეთი შეიტანეს საქართველოს დემოკრატიული განვითარების ფონდში, ამდენივე თანხა ჩაურიცხეს რესპუბლიკის ომის ვეტერანებს.

იცინეთ, მტრის ჯინაზე

გულღიად მიიღეს გურჯაანელებმა ქართველი ლტოლვილები აფხაზეთიდან. ისინი კურორტ „ახტალის“ საუკეთესო სასტუმროებში დააბინავეს.

კულტურის ცენტრის დირექტორმა ბატონმა გივი გორხელაშვილმა საპატიო სტუმრები სახალხო თეატრში მიიწვია. მის მიერ დადგმულ სპექტაკლზე „მეცამეტე შეხვედრა“. მსახიობთა ოსტატობამ განაპირობა ხალისიანი განწყობილებაც, სიცილი და ტაში. და იყო იმედი.

22:6 დამნაშავეთა სასარგებლოდ

ერთი მკვლელობა, სხეულის დაზიანება — ერთი; სახელმწიფო ქონების სამი ქურდობა, იგივე, ძარცვათა და ყაჩაღობით — 5; ადამიანების პირადი ქონება 6-ჯერ მოიპარეს, გაიტაცეს 3 ავტომანქანა და ჯერჯერობით ვერ დაადგინეს გამტაცებლები. და, საერთოდ, სისხლის სამართლის სამძებროს ხაზით 22 დანაშაულია ფიქსირებული, გახსნილია — 6.

ოთხ ავტოავარიაში 1 ადამიანი დაიღუპა.

ეს მძიმე სტატისტიკა 24 ნოემბრის სადღეღამისო მონაცემების საფუძველზეა შედგენილი.

თუ გინდათ,
რომ ცხოვრებას
არ ჩამორჩეთ
და ყველაფერი იცოდეთ,
რაც დედამიწის
ზურგზე ხდება,
გამოიწერეთ ყველაზე
იაფი ყოველდღიური
ქართული გაზეთი
საქართველოს რესპუბლიკა

იჩქარეთ!

არ დაგაგვიანდეთ, ხელმოწერის
დამთავრებამდე სულ რამდენიმე
დღე დარჩა!

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ამა წლის 5 დეკემბრამდე გაგრძელებულია ინდივიდუალური და საუწყებო ხელმოწერის მიღება რესპუბლიკურ გამოცემებზე. ხელმოწერის გაფორმება, როგორც ყოველთვის, შეგიძლიათ პრესის გავრცელების საწარმოებში, საფოსტო განყოფილებებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

რესპუბლიკური გაერთიანება „საქპრესა“.

კ. კეკელიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

ა. წ. 27 ნოემბერს 14 საათზე მოწვეულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების ღია სხდომა, სადაც საჯაროდ იქნება განხილული აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი შრომები.

ნაშრომთა განხილვაში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ დაინტერესებულმა პირებმა.

სხდომა გაიმართება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შენობაში, რუსთაველის პროსპ. 52, IV სართული, ოთახი 424.

დემოკრატიისა და აღორძინების ფონდი

იწვევს 33 წლამდე ასაკის ყველა სპეციალობის ექიმებს, რომლებიც თავისუფლად ფლობენ ინგლისურ ენას, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იელის უნივერსიტეტში, უცხოელ სპეციალისტ-მედიკოსთა სწავლების ორ წლიანი კურსის გასავლელად. მსურველთათვის იელის უნივერსიტეტის წარმომადგენლები მოსკოვში ჩაატარებენ გამოცდებს ინგლისურ ენასა და სპეციალობაში.

საბუთების მიღება ა/წ 1 დეკემბრამდე.

ამერიკაში გამგზავრებასა და სწავლებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს გაიღებს ამერიკული მხარე. მოსკოვში გამგზავრება და გამოცდების ჩაბარება - პრეტენდენტთა ხარჯზეა.

ცნობებისა და საბუთებისათვის მიმართეთ
თბილისის მენეჯერთა სკოლას.
მისამართი: ვაჟა-ფშაველას პრ. 40, ოთახი 212.
ტელეფონები: 39-11-30, 37-55-16.

საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო და სამეურნეო მოღვაწე

შოთა ილარიონის ძე ფანუჯაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

7 თამაშში — 25 გოლი

გუშინწინ საქართველოს სტადიონებზე მოეწყო ეროვნული ჩემპიონატის მეჩვიდმეტე ტურის შვიდი მატჩი ფეხბურთში, რომელთა ტექნიკური შედეგები ასეთია: „ბათუმი“ — „კახეთი“ — 3:1, „დილა“ — „მარგვეთი“ — 1:1, „სამგურალი“-„ოდიში“ — 5:1, „მრეტები“ — „გურია“ — 2:3, „სამტრედია“-„გორდა“ — 1:1, „შევარდენი-1906“-„ცხუმი“ — 4:1, „ალაზანი“ — „ივერია“ — 1:0.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ტურში არ უთამაშია, თბილისის „დინამომ“ შეინარჩუნა მოწინავე პოზიციები სატურნირო ცხრილში — 34 ქულა. გურჯაანის „ალაზანი“ 29 ქულით მეორე ადგილზეა, ხოლო რუსთავის „გორდას“ 28 ქულით მესამე საფეხური უკავია. 26-26 ქულაა თბილისის „შევარდენი-1906“-ის, ფოთის „კოლხეთი-1913“-ისა და ზესტაფონის „მარგვეთის“ აქტივში. ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებმა სხვადასხვა რაოდენობის შეხვედრები გამართეს.

სამახარობლო ესპანეთიდან

სასიხარულო ცნობა მივიღეთ ესპანეთიდან, სადაც გაიმართა ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მორიგი კონგრესი. ამ პრესტიჟული ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრად მიიღეს საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია.

ჩვენი ათლეტების აღიარების დასტურად ის ფაქტიც გამოდგება, რომ ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი პერსონალურად მიიწვიეს მსოფლიო თასის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპზე ჩინეთის დედაქალაქ პეკინში 5 დეკემბერს.

„ვერცხლით“ — ციურიხიდან

სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი ნინო სალუქვაძე („შევარდენი“) 385 ქულით ციურიხში გახდა შვეიცარიის ღია ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი პნევმატიკური იარაღიდან სროლაში.

იგი „პპ-2“ ვარჯიშში (40 გასროლა პნევმატიკური პისტოლეტიდან 10-მეტრიან დისტანციაზე) სიცხიანი ასპარეზობდა და მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩა ძველ მეტოქეს — როსტოველ მარინე ლოგვინენკოს.

პროგრამის ყოველ სახეობაში ვერცხლის ხაზზე გამოვიდა მსოფლიოს 8-8 საუკეთესო მსროლელი.

მთავარი ბრძოლები წინაა

უნგრეთის ქალაქ დებრეცენში მიმდინარე მოჭადრაკეთა გუნდური ჩემპიონატის მონაწილეებმა მესამე ტურის პარტიები გამართეს.

ქართველმა ვაჟებმა 1,5:1,5 ითამაშეს ისრაელის გუნდთან (1 პარტია გადაიდო) და 6,5 ქულით ჯერჯერობით მეთექვსმეტე ადგილზე იმყოფებიან.

ჩვენი ქვეყნის ქალთა ნაკრები უგებს ძველ ლიდერს — უკრაინელებს — 1:0 (1 პარტია გადადებულია) და მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება ფრანგებს, რომლებიც მოულოდნელად დაწინაურდნენ 5 ქულით.

მეოთხე ტურში ქართველმა ქალებმა დაამარცხეს ფრანგები ანგარიშით 1,5:0,5 და 6 ქულით სათავეში ჩაუდგნენ სატურნირო ცხრილს.

ეწვიეთ „საკალათბურთო მექას“

ვერის პარკში მდებარე მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გრძელდება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტური. გთავაზობთ მეორე დღის კალენდარული შეხვედრების შედეგებს: „ვითა“ — სტუ — 102:82, „დინამო“-„შევარდენი“ — 92:64, „აზოტი“-„მართვე“ — 97:85, „მერანი“-თსუ — 108:77, „რიონი“-„სოხუმი-91“ — 102:93.

გაეცანით გამარჯვებულებს

როგორც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ვიუწყებოდით, გორელმა არმაზ ჯალაბაძემ მოიპოვა საქართველოს აბსოლუტური ფალავნობა. მანვე თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ მესამე ტრადიციულ ტურნირზე ქართულ ჭიდაობაში მოიგო ასპარეზობა მძიმე წონაში. დანარჩენ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს: კასპელმა მიხეილ ფალაშვილმა (60 კგ), ყვარლელმა დავით ბალახაშვილმა (64 კგ), თელაველმა შალვა ბენიძემ (68 კგ), მცხეთელმა ჯონდო მუზაშვილმა (72 კგ), ქობულეთელმა ზაზა გულიაშვილმა (78 კგ), თელაველმა გიგი შარიაშვილმა (84 კგ) და გორელმა მიხეილ ნადირაძემ (90 კგ).